ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 5 აპრილი, 2017 №80 (7315) ფასი: 50 თეთრი

„მალე ჩრდილოეთ კორეას დავეწევით“

ზვიად კუპრავა: „დანაშაულის გახსნის ასეთი მაღალი მაჩვენებელი ევროპაშიც კი არ არის“

გვ.2

5 აპრილიდან მარტორქები ბლინებს არ ჭამენ

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

კვირიკაშვილი რამდენიმე დღეში გადადგება?

რა ინფორმაცია მიაწოდეს მინისტრის ყოფილ მოადგილეს მთავრობიდან

გვ.2

„მარგველაშვილმა მთავრობა თავის მართლების რეჟიმში გადაიყვანა“

გვ.3

„ქართულმა ოცნებამ“ პრეზიდენტის არჩევის საკითხი რეფერენდუმზე რომ გაიტანოს, წააგებს“

კოკოითი არჩევნების ჩაშლით იმუქრება

ცხინვალში 9 აპრილს არეულობას ელოდებიან

გვ.4

„ჩვენთან საზოგადოების მენტალობის კრიზისია“

გვ.5

თამარ ჩხეიძე: „თუ ქვეყანაში სიტუაცია არ შეიცვალა, თბილისის მერად დასვამენ იმას, ვინც ივანიშვილს უნდა“

გვ.5

„თურქეთში არსებული დაპირისპირება, შესაძლოა, საქართველოში გადმოვიდეს“

ვახტანგ მაისაია: „ტერაქტები პუტინს ვერ შეაჩერებს“

რას უნდა მიაქციოთ ყურადღება სადაზღვევო კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმებისას

ISSN 1987-9385

გვ.6

გვ.6

ფერმერების ნაწილი აგროდაზღვევის აუცილებლობას ისევ ვერ ხედავს

სუს-ის უფროსი ევროპოლის დირექტორს შეხვდა



გვ.7

„მალე ჩრდილოეთ კორეას დავეწევით“

ზვიად კუპრავა: „დანაშაულის გახსნის ასეთი მაღალი მაჩვენებელი ევროპაშიც კი არ არის“

შორენა მარსაგიშვილი

ჰატომ ახ ენდობიან დანაშაულის გახსნის სტატისტიკას, გაიზახდა თუ ახა ჯიმინალი, მაღავდა თუ ახა ნინა ხელისუფლება დანაშაულს, ჰით შეიძლება ვაჯობოთ ჩჩდილოეთ ჯოჩეას? – ამ თემებზე „ახალ თაობას" სამახთალდამცავთა ჩეფოჩმების ცენტრის ხელმძღვანელი ზვიად ჯუპჩავა ესაუბჩება.

– შსს-ს მიერ დანაშაულის გახსნის სტატისტიკას უნდობლობა გამოუცხადეთ. რატომ არ ენდობით ამ მაჩვენებელს?

– ეს სტატისტიკა სრული სისულელეა. ვინც ამაში ვერ ერკვევა, შეიძლება ეს დაიჯეროს, მაგრამ, ვისაც ამ საქმესთან რაიმე შეხება ჰქონია, მისთვის ეს მაჩვენებელი სასაცილოა. დანაშაულის გახსნის ასეთი მაჩვენებელი ევროპაშიც კი არ არის. გასულ წელს 67%-იანი მაჩვენებელი დწერეს. მერე ვიღაც მიხვდა ხელისუფლებაში, რომ ეს მაგარი სისულელე იყო და წელს ეს მაჩვენებელი 10%-ით შეამცირეს.

ასეთი მაღალი მაჩვენებელი დედამიწაზე შეიძლება მხოლოდ ჩრდილოეთ კორეას ჰქონდეს. ჩრდილოეთ კორეაში ისიც სჯერათ, რომ მათი ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდა ფეხბურთში და მზეზე ადამიანი დასვეს.

– ჩრდილოეთ კორეა ახსენეთ და იქ დანაშაულის გახსნის რა მაჩვენებელია?

– 75-80%. დანაშაულის გახსნის ასეთი მაჩვენებელი, უბრალოდ, ბუნებაში არ არსებობს. მათი მაჩვენებლის მსგავსად, ჩვენიც დაუჯერებელია.

– თქვენი აზრით, საქართველოში დანაშაულის გახსნის რეალური მაჩვენებელი როგორია?

– ასე 17-20% იქნება. ეს, შეიძლება, ვიღაცას დაბალ ციფრად მოეჩვენოს, მაგრამ ნორმალურია. დანაშაულის გახსნის ასეთივე მაჩვენებელია ევროპის ბევრ ქვეყანაში.

– წინა ხელისუფლების დროს როგორი იყო დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი?

– გახსნის ყველაზე დიდი მაჩვენებელი ვანო მერაბიშვილს ჰქონდა 47%. მაშინდელი კრიმინოგენური ვითარება დღევანდელისგან მკვეთრად განსხვავდება. წინა ხელისუფლება, შეიძლება, ბევრი რამის გამო ვაკრიტიკოთ, მაგრამ, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მაშინ კრიმინალები ასე თავისუფლად ვერ თარეშობდნენ.

თავიდან წინა ხელისუფლებასაც გაუჭირდა კრიმინალის ალაგმვა, მაგრამ შეძლეს. კრიმინალმა კლება 2006 წელს დაიწყო. 2010-2012 წლებში კრიმინალი, პრაქტიკულად, მინიმუმამდე იყო დაყვანილი.

მერე შეიცვალა ხელისუფლება, გაიზარდა კრიმინალი და გაიზარდა მისი გახსნის მაჩვენებელი. ჭიკაიძის მინისტრობის დროს კრიმინალის გახსნის მაჩვენებელი სულაც 110% იყო. აქ მხოლოდ ერთი კითხვა მაქვს: თუ ასეთი გენიოსი იყო ეს ადამიანი და დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი ასე გაზარდა, რატომ გაუშვეს თანამდებობიდან? ყოფილიყო შს მინისტრი და ებრძოლა კრიმინალის წინააღმდეგ. მას ძალიან კარგად ვიცნობ და პიროვნულად კარგი ადამიანია, მაგრამ, როგორც მინისტრი, უვარგისი იყო.

ამ სტატისტიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 2012 წელთან შედარებით, ყველა სახის დანაშაული მკვეთრად არის შემცირებული.

– ზემოთ თქვით, რომ დანაშაულის გახსნის ასეთი მაჩვენებელი ევროპაშიც კი არ არის. იქ როგორია საშუალო მაჩვენებელი?

– ევროპაში დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი არის დაახლოებით 40%. ჩვენ რა ტექნოლოგიები დავნერგეთ ამ ქვეყანაში, რომ ევროპასაც გავასწარით, ამერიკასაც და გეზი ჩრდილოეთ კორეისკენ გვაქვს აღებული? ასე თუ გაგრძელდა, 2018 წელს უკვე ფხენიანსაც ვაჯობებთ.

– გასაგებია, რომ სხვა ქვეყნებში ასეთი დანაშაულის გახსნის მაღალი მაჩვენებელი არ არის, მაგრამ, ხომ შეიძლება, ჩვენთან მართლაც წარმატებით იხსნებოდეს დანაშაული?

– ასეთი მაღალი მაჩვენებელი რომ გვქონდეს, მაშინ გამომძიებლებად სულ კონან დოილები უნდა გვყავდეს. ამასთან, მე არ გამოვრიცხავ, რომ შსს-მ მართლაც ამდენი დანაშაული გახსნა. კითხვები გახსნის მაღალ მაჩვენებელთან მაქვს და ისიც ვიცი, რატომაც დაჯდა ასეთი მაღალი პროცენტი. ეს იმის ბრალია, რომ დანაშაული არ რეგისტრირდება, თუ მას გახსნის პერსპექტივა არ აქვს.

მაგალითისთვის, ვთქვათ 112-ზე შემოდის მოქალაქის შეტყობინება, რომელსაც მოჰპარეს ტელეფონი. ამ დანაშაულის გახსნის შესაძლებლობა მინიმალურია. ეს ძალიან კარგად იციან განყოფილებებში. საქმეებს, რომელთა გახსნის პერსპექტივაც დაბალია, უბრალოდ, არ არეგისტრირებენ. რეგისტრაციაში ძირითადად ისეთ საქმეებს ატარებენ, რომელთა გახსნაც უფრო ადვილია. აი, ამით იწევა გახსნის მაჩვენებელი და ასე დაჯდა ასეთი მაღალი პროცენტი.

კიდევ რამდენიმე მაგალითს მოგიყვანთ ამასთან დაკავშირებით. რამდენიმე დღის წინ ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში ოჯახს მოჰპარეს 7 სული ცხენი. მათ ამის შესახებ პოლიციაში განაცხადეს, იქ კი უთხრეს, ეს ცხენები მგლებმა შეგიჭამესო და დანაშაულად არ დაარეგისტრირეს. მგლების წინააღმდეგ საქმე როგორ უნდა აღძრულიყო?

დაახლოებით 2 თვის წინ ინციდენტი მოხდა ჩემს კორპუსთან. კორპუსის შესასვლელ ეზოში გვაქვს დიდი შლაგბაუმი – საკმაოდ მყარი რკინის კონსტრუქცია. ვიღაც უცხო ადამიანი, ეტყობა, ღამე ვერ შემოვიდა, გაბრაზდა და ეს კონსტრუქცია დაამტვრია. დილით, როცა ეს ყველაფერი დავინახეთ, გამოვიძახეთ პატრული. პატრულს მოჰყვა განყოფილება.

გამომძიებლები ოქმს შემდეგნაირად ავსებდნენ: წუხელ ქარი იყო და ქარი გატეხდა ამასო. მე ეს გავაპროტესტე და, საბოლოო ჯამში, ისე შევადგენინე ოქმი, როგორც საჭირო იყო. ყველგან კომპეტენტური ადამიანები ხომ არ იქნებიან. კომპეტენცია ერთია და მეორეა რიდი. ყველას არ შეუძლია, პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიოს.

პოლიციელებსაც მოქალაქესთან გამოკითხვის ოქმი ისე მიჰყავთ, რომ დანაშაულის ნიშნებს არ კვეთენ და შემდეგ ჩამოწერისკენ მიჰყავთ. როდესაც ყველა დანაშაული დარეგისტრირდება, მაშინ გახსნის მაჩვენებელი ასეთი მაღალი, ბუნებრივია, აღარ იქნება.

– წინა ხელისუფლების დროს ყველა დანაშაული ტარდებოდა რეგისტრაციაში? „ქართული ოცნება“ ამბობს, რომ მაშინ დანაშაული იმალებოდა.

– ჩვენ გვქონდა ასეთი დავალება, რომ ყველა დანაშაული გაგვეტარებინა რეგისტრაციაში და ოქმში ჩაგვწერა ის, რასაც მოქალაქე გვეუბნებოდა. დანაშაულის გახსნის ზუსტი სტატისტიკა მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ჯდება.

მივმართავ შსს-ს ხელმძღვანელობას, ცოტა სერიოზულად მიუდგნენ ამ სტატისტიკას. ამის გამო, შესაძლოა, ჩვენი ევროპელი მეგობრების დასაცინები გავხდეთ. პოლიცია მათთანაც არის და მათაც იციან, დანაშაულის გახსნის რა მაჩვენებელია.

დანაშაულის სტატისტიკას თუ გადავავლებთ თვალს, კიდევ ერთ საინტერესო ფაქტს აღმოვაჩენთ. 2000-

2003 წლებში დანაშაულის მაჩვენებელი ძალიან დაბალია.

– რანაირად? მაშინ ხომ ადამიანების გატაცებაც კი ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

– მაშინ ქვეყანა მართლა კრიმინალს მიჰქონდა, იმაზე უარესი ვითარება იყო, ვიდრე ახლაა. საქმე ის არის, რომ მაშინ ძარცვა ღირდა 500 დოლარი. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ადამიანს ძარცვაზე დააკავებდნენ, მას 500 დოლარს გადაახდევინებდნენ და გაუშვებდნენ. შესაბამისად, დანაშაულის დარეგისტრირება არ ხდებოდა. ამიტომაც იყო დანაშაულის მაჩვენებელი ასეთი დაბალი.

ვარდების რევოლუციის შემდეგ შსს-მ დაიწყო დანაშაულის აღრიცხვა, რასაც დანაშაულის რიცხოვნობის მკვეთრი ზრდა მოჰყვა. დანაშაულმა კლება, როგორც უკვე გითხარით, 2006 წლიდან დაიწყო. დანაშაული მაშინაც ხდებოდა, მაგრამ ეს საზოგადოებისთვის შემაწუხებელი და ქვეყნისთვის სახიფათო არ ყოფილა.

დანაშაულის ზრდაზე არანაკლებ პრობლემატურად მიმაჩნია მოქალაქეებისთვის ნარკოტიკების ჩადება. ამ სენზე, სამწუხაროდ, ვერცერთმა ხელისუფლებამ ვერ თქვა უარი. ჩვენ დაწყებული გვაქვს კამპანია „არა ჩადებას“. ამ კამპანიის წევრებმა მოვამზადეთ კანონპროექტი, რომელიც ჩადებას მთლიანად გააუქმებს.

ჩვენს კანონპროექტთან დაკავშირებით ახლო მომავალში ყველა საპარლამენტო ფრაქციას შევხვდებით და ყველას აზრს მოვისმენთ. ეს კანონპროექტი დეპუტატებისთვის ერთგვარი ტესტიც იქნება.

კვირიკაშვილი რამდენიმე დღეში გადადგება?

რა ინფორმაცია მიაწოდეს მინისტრის ყოფილ მოადგილეს მთავრობიდან

შორენა მარსაგიშვილი

მინისტრის ყოფილი მოადგილე სანდრო ბრეგაძე მთავრობაში მოსალოდნელ ცვლილებებზე ინფორმაციას ავრცელებს. მისი თქმით, პრემიერის გარდა, თანამდებობას კიდევ რამდენიმე მინისტრი დატოვებს.

– მე მთავრობიდან მომაწოდეს ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, კვირიკაშვილის წასვლა გადაწყვეტილია და ის თანამდებობას რამდენიმე დღეში დატოვებს, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში ბრეგაძე.

მისი თქმით, სამთავრობო კარუსელი ქვეყანაში არსებული კრიზისის გადასაფარად დატრიალდება:

– თითქმის ყველა სფეროში არის კრიზისი. საიდანაც მხოლოდ ერთი გამოსავალია – მთავრობა უნდა შეიცვალოს. გიორგი კვირიკაშვილთან ერთად თანამდებობას მინისტრთა კაბინეტის კიდევ რამდენიმე წევრი დატოვებს. ამით ხალხის ყურადღებას ცოტა ხნით სხვა საკითხზე გადაიტანენ.

ბრეგაძე არ აკონკრეტებს იმ მინისტრების ვინაობას, რომლებიც, შესაძლოა, კვირიკაშვილს გაჰყვნენ.

– რაღაც ინფორმაციები, ბუნებრივია, მაქვს, მაგრამ გვარების დასახელებისაგან მაინც თავს შევიკავებ. მთავრობაში ვინც არ უნდა შეიცვალოს, სიტუაცია იგივე დარჩება. მთელი მინისტრთა კაბინეტიც რომ გადახალისდეს, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ შეიცვლება. ამიტომაც არ ვასახელებ გვარებს, – ამბობს მინისტრის ყოფილი მოადგილე.

როგორც თავად ამბობს, მისთვის იმ ადამიანის შესახებაც არის ცნობილი, რომელმაც შეიძლება კვირიკაშვილი შეცვალოს.

გავრცელებული ინფორმაციით, ეს შეიძლება დიმიტრი ქუმსიშვილი ან გიორგი გახარია იყოს. არის სხვა ვერსიაც. ამბობენ, რომ პრემიერის პოსტზე შესაძლოა პატარკაციშვილებთან დაახლოებული ირაკლი რუხაძე ვიხილოთ.

რუხაძის კანდიდატურას ბრეგაძე გამორიცხავს, მხოლოდ იმას ამბობს, რომ მომავალი პრემიერი მთავრობის წევრია.

– ეს ადამიანი მინისტრთა კაბინეტის წევრია. გეტყვით იმასაც, რომ, კვირიკაშვილისგან განსხვავებით, ის ამბიციური ადამიანია, – აღნიშნავს ბრეგაძე.

მისი თქმით, მომავალ პრემიერს თავისი ამბიციები დიდად ვერ წაადგება და ქვეყნის მმართველი ვერ გახდება. ამის მიზეზად კი შემდეგ გარემოებას ასახელებს:

– კვირიკაშვილს ქვეყნის მართვის არც ამბიცია და არც სურვილი არ ჰქონია. მისი სავარაუდო შემცვლელი ამბიციური ადამიანია, მაგრამ ისიც ვერაფერს შეცვლის. აქ გადაწყვეტილებებს ბიძინა ივანიშვილი იღებს. პრემიერსა და მინისტრებს ბაღის გამგის დანიშვნასაც არავინ ეკითხება.

მინისტრის ყოფილი მოადგილე არც იმას გამორიცხავს, რომ ივანიშვილმა კვირიკაშვილისა და მისი გუნდის გაშვება გადაიფიქროს. ამას თქმის საფუძველს კი მთავრობის წევრად ყოფნისას მიღებული გამოცდილება აძლევს:

– რამდენიმე წელი ვიყავი მთავრობის წევრი და კარგად ვიცი აქაური შიდა სამზარეულო. ხშირად ყოფილა, რომ თითქმის გადაწყვეტილი საკითხი ბოლო მომენტში შეუცვლიათ. არ გამოვრიცხავ, კვირიკაშვილის შემთხვევაშიც იგივე მოხდეს. ეს იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ შეეცვლება ხასიათი ივანიშვილს.

* * *

ხელისუფლებაში მოსალოდნელ საკადრო ცვლილებებზე არ საუბრობენ, ამბობენ, რომ ეს აბსურდია და კვირიკაშვილი არსად წავა, ოპოზიციის ნაწილი კი სამთავრობო კარუსელს აღდგომის შემდეგ ელოდება.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სოსო ცინცაძე: „მარგველაშვილმა მთავრობა თავის მართლების რეჟიმში გადაიყვანა“

„ქართულმა ოცნებამ“ პრეზიდენტის არჩევის საკითხი რეფერენდუმზე რომ გაიტანოს, წააგებს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტიკური დებატების მნიშვნელობაზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, პრეზიდენტი ყოველწლიური მოხსენებით მიმართავს პარლამენტს. მიმართვის შემდეგ ის პოლიტიკურ დებატებს ითხოვს, რასაც საპარლამენტო უმრავლესობა კონსულტაციების შემდეგ დათანხმდა. ასეთი მნიშვნელობა აქვს დებატებს?

– ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. პოლიტიკა დებატების გარეშე, უბრალოდ, არ არსებობს. მე სულ ვამბობ, რომ ადამიანებს ჰქვიათ პოლიტიკოსები, მაგრამ მათ პოლიტიკის არაფერი გაეგებათ. პარლამენტი არის სწორედ ის ადგილი, სადაც უნდა იმართებოდეს პოლიტიკური დებატები. დებატების გარეშე კი პოლიტიკა, უბრალოდ, არ არსებობს.

– კალაძემ თქვა, არაფერი გვაქვს პრეზიდენტთან სადებატოო?

– როგორ არა აქვთ, ყველა წინადადებაში ეწინააღმდეგებიან, არაფერში არ ეთანხმებიან და სადისკუსიო როგორ არა აქვთ?! რა თქმა უნდა, აქვთ. პრეზიდენტმა რომ თქვას, დღეს კარგი ამინდია, მთავრობა ორ წუთში განცხადებით უპასუხებს, არა, წვიმს და ჭექა-ქუხილია. გიორგი მარგველაშვილმა მთავრობა თავის მართლების რეჟიმში გადაიყვანა. ეს უკვე პრეზიდენტისთვის სერიოზული პლუსია. მინისტრთა კაბინეტი, უმრავლესობა

იძულებულია საპასუხო აქტები შეიმუშაოს, თავის მართლების პოზიციაში ჩადგეს. მაგალითად, პრეზიდენტი ვეტოს გამოიყენებს, პარლამენტი უმალ ხსნის, ისე, რომ არც კი დაფიქრდება ხოლმე. აქედან გამომდინარე, ამ ფონზე, რა თქმა უნდა, პარლამენტში დებატები წინ გადადგმული ნაბიჯია ნამდვილად. თუმცა, ნახეთ, რა ფორმატს სთავაზობს უმრავლესობა: ბოლო სიტყვა ჩვენ გვეკუთვნის! ეს ხომ სასაცილოა. პოლიტიკურად სტიგმების დონეზე მყოფი ადამიანებისთვის არის ეს განკუთვნილი და სხვა არავისთვის. პოლიტიკურ დებატებს იგებ ან აგებ. რა მნიშვნელობა აქვს, ბოლო სიტყვა ვისი იქნება. თუმცა, პოლიტიკურად გაუნათლებელი ადამიანისთვის, რასაკვირველია, დამაჯერებელია ბოლო სიტყვა. თუმცა, გეტყვით, როდის არ იყო დებატები და, საერთოდ, რომელ ქვეყნებში არის პოლიტიკური დებატები და რომელში – არა. მაგალითად, საბჭოთა კავშირში არასდროს არ იყო დებატები. მახსოვს, ერთხელ, თავის თავს უფლება მისცა ხრუშჩოვის ფავორიტმა შოლოხოვმა, რომ თევზის მრეწველობის მინისტრი გაეკრიტიკებინა. ამ კრიტიკას კი წინ გრძელი მობოდიშება უძღოდა. დებატები იმართება ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში, ნახეთ რა ხდება დიდი ბრიტანეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

– როგორ ფიქრობთ, საპარლამენტო უმრავლესობა ახლა რატომ არის თანახმა პოლიტიკურ დებატებზე?

– გასული წლებისგან განსხვავებით, „ქართული ოცნების“ ლიდერები მიხვდნენ, რომ მათ ძალიან წამგებიან პოზიციაში აყენებთ პრეზიდენტი, როდესაც დისკუსიას სთავაზობს და ამაზე ისინი უარს ამბობენ. შარშან უფრო დამაჯერებლად გრძნობდა თავს უმრავლესობა, როგორც ჩანს. წელს ნაკლებად აქვს თვითდაჯერებულობა.

– „აირაის“ სოციოლოგიური კვლევების მიხედვით, პრეზიდენტი მარგველაშვილი პოლიტიკოსთა ოთხეულში პირველ პოზიციაზეა. როგორი შეიძლება იყოს მარგველაშვილის პოლიტიკური პერსპექტივები?

– პრეზიდენტს პოლიტიკური გეგმები რომ აქვს და პენსიაზე არ აპირებს გასვლას, ეს ცხადზე უცხადესია. გიორგი მარგველაშვილს დიდ პოლიტიკაში დარჩენისთვის ყველაფერი ხელს უწყობს. დაწყებული ასაკით, განათლებით, პოლიტიკური მომზადების დონით და პოლიტიკური აღღოთი დასრულებული. ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია დიდ პოლიტიკაში, მე ორღობის პოლიტიკაზე არ ვსაუბრობ. ასევე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია პოლიტიკაში – რეიტინგი აქვს. რაღაც უჩვეულო და რთულად დასაჯერებელი იქნებოდა, რომ ამ რეიტინგის პოლიტიკოსი, მე ვიტყოდი პოლიტიკისთვის ასე მზადმყოფი, მშვენიერ ფორმაში მყოფი, დიდი პოლიტიკიდან ასე უცებ წასულიყო. ეს უფრო გასაკვირი იქნებოდა. ამიტომ გამორიცხულია, ერთი ვადის ამოწურვის შემდეგ პრეზიდენტი მემუარების საწერად სახლში წავიდეს.

– ვინ შეიძლება მისი კონკურენტები იყვნენ თუ მეორე ვადით იყარა კენჭი? საუბარია კახა კალაძეზეც, ირაკლი ღარიბაშვილზეც.

– კახა კალაძემ უკვე გარკვევით თქვა, რომ მე პენსიაზე გასვლას არ ვაპირებო. რა თქმა უნდა, პოლიტიკური პენსია იგულისხმა, რომ პრეზიდენტს არაფერი უფლებები არა აქვს და ეს თანამდებობა პენსიონერისთვის არის განკუთვნილიო, მაგრამ ვინც არ უნდა იყოს კანდიდატი, ამ განცხადებით კალაძემ მას დასცინა. დასცინა „ქართული ოცნების“ კანდიდატსაც და ოპოზიციის კანდიდატსაც. მაგალითად, ღარიბაშვილი, რომელიც ახალგაზრდაა, თუ იყრის კენჭს, კალაძემ უთხრა, რომ პენსიაზე მიდიხარ. პოლიტკორექტულობის მხრივ კალაძემ ამ განცხადებით თავისი თანაგუნდელიც კი არ დაინდო.

რაც შეეხება პირდაპირი არჩევნებიდან ირიბ არჩევნებზე გადასვლას, ამ საკითხზე მინდა ვთქვა, რომ ამ გზით მიდის სომხეთიც, მაგრამ სომხებმა გვაჯობეს. მათ რეფერენდუმი ჩაატარეს ამ საკითხზე და ისე მიიღეს გადაწყვეტილება პირდაპირი არჩევნებიდან ირიბზე რომ გადასულიყვნენ.

– თქვენ ამბობთ, რეფერენდუმი ჩატარდეს?

– რა თქმა უნდა, რეფერენდუმი ყველაზე დიდი დემოკრატიაა. ხელისუფლება ამ დროს ხალხს ეკითხება, რა და როგორ? მაგრამ ხელისუფლებამ რეფერენდუმი რომ ჩაატაროს, წააგებს და ამიტომ არ გამოაქვს რეფერენდუმზე. სომხეთში სწორედ რეფერენდუმით განსაზღვრეს ეს საკითხი ორი წლის წინ, რაც აბსოლუტურად დემოკრატიული ნაბიჯია. „ქართულ ოცნებას“ შეეძლო 2013 წელს, 2014 წელს გაეტანა ეს საკითხი და ამ რეფერენდუმს აუცილებლად მოიგებდა, მაგრამ მაშინ, როგორც ჩანს, საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადასვლა და, კონკრეტულად, პრეზიდენტის არაპირდაპირი არჩევნები არ იდგა დღის წესრიგში.

ინსტიტუტების რეიტინგში ეკლესია ლიდერობს

IRI-ის კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა უმეტესობას ყველაზე მეტად ეკლესიის საქმიანობა მოსწონს. უფრო კონკრეტულად, შესაბამის რეიტინგში ეკლესია 88 %-ით ლიდერობს, რომლის საქმიანობასაც დადებითად სწორედ გამოკითხულთა აღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი აფასებს.

რეიტინგში მეორე ადგილი 86%-ით უკავია ქართულ არმიას, მესამე კი 74%-ით – ქართულ მედიას. შემდეგ 59%-ით მოდის პოლიცია, 55%-ით პრეზიდენტის ადმინისტრაცია. 52%-ს განათლების სამინისტროს საქმიანობა მოსწონს, 45%-ს კი – პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციის. 40% აფასებს დადებითად ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობას, 39% – სახალხო დამცველის აპარატისას, ასევე 39% – პარლამენტისას, ხოლო 38% – მინისტრთა კაბინეტისას.

გამოკითხვა 22 თებერვლიდან 8 მარტის პერიოდში ჩატარდა. მის ფარგლებში 1501 რესპონდენტი გამოიკითხა.

„ქართული ოცნება“ – 26%; ნაციონალური მოძრაობა – 15%

IRI-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, რესპონდენტთა უმეტესობა თავის რეგიონში ყველაზე აქტიურ პარტიად „ქართულ ოცნებას“ ასახელებს.

კერძოდ, რესპონდენტთა 29%-მა თავის რეგიონში ყველაზე აქტიურ პარტიად „ქართული ოცნება“ დაასახელა, 12%-მა – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ხოლო 50%-მა არცერთი პარტია არ დაასახელა.

კითხვაზე, თუ „რომელ პარტიას შეუძლია ყველაზე წარმატებულად გაუმკლავდეს იმ პრობლემებს, რომლის წინაშეც საქართველო დგას?“ რესპონდენტთა 13%-მა „ქართული ოცნება“ დაასახელა, 10%-მა – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, 2%-მა – „ევროპული საქართველო“, ხოლო 38%-მა არცერთი პარტია არ დაასახელა.

კითხვაზე: „შემდეგ კვირას ადგილობრივი არჩევნები რომ ტარდებოდეს, რომელ პარტიას მისცემდით ხმას?“ გამოკითხულთა 26%-მა „ქართული ოცნება“ დაასახელა, 15%-მა – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, 7%-მა – „ევროპული საქართველო“, 6%-მა ლეიბორისტული პარტია, 4%-მა – პატრიოტთა ალიანსი.

კითხვაზე, თუ „რომელ პოლიტიკურ პარტიას არასოდეს მისცემდით ხმას?“ რესპონდენტთა 27%-მა „ქართული ოცნება“ დაასახელა, 25%-მა – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, 8%-მა – „დემოკრატიული მოძრაობა“, 8%-მა – „გირჩი“, 7%-მა – „ევროპული საქართველო“, 7%-მა – პატრიოტთა ალიანსი, 6%-მა – ლეიბორისტული პარტია, 4%-მა – რესპუბლიკელები, 3%-მა – თავისუფალი დემოკრატები.

IRI -ის კვლევის საველე სამუშაოები 2017 წლის 22 თებერვლიდან 8 მარტის ჩათვლით პერიოდში ჩატარდა და მის ფარგლებში 1501 მოქალაქე გამოიკითხა. კვლევის საშუალო ცდომილება +-2,5%-ია.

რუსეთთან შემდგომ დიალოგს რესპონდენტთა 53% მხარს უჭერს

IRI-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, რუსეთთან შემდგომ დიალოგს რესპონდენტთა 53% მხარს უჭერს.

კითხვაზე, „უჭერთ თუ არა მხარს რუსეთთან შემდგომ დიალოგს?“ გამოკითხულთა 29% პასუხობს, რომ მხარს ნაწილობრივ უჭერს, 6% ნაწილობრივ არ უჭერს მხარს, რუსეთთან დიალოგის წინააღმდეგი კი რესპონდენტთა 10%-ია. აღნიშნულ კითხვაზე პასუხი არ აქვს გამოკითხულთა 2%-ს.

ამასთან, კვლევის თანახმად, რესპონდენტთა 39% საქართველოს მთავრობის ურთიერთობას რუსეთთან ნაწილობრივ დადებითად აფასებს.

რესპონდენტთა 15% მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობის ურთიერთობა რუსეთთან პოზიტიურია, 24% თვლის, რომ აღნიშნული ურთიერთობები ნაწილობრივ ნეგატიურია, გამოკითხულთა 11% კი ფიქრობს, რომ საქართველოს მთავრობის ურთიერთობა რუსეთთან ნეგატიურია.

სანკტ-პეტერბურგში აფეთქება 22 წლის ყირგიზმა თვითმკვლელმა ტერორისტმა აკბარჟონ ჯალილოვმა მოაწყო

რუსმა გამომძიებლებმა განაცხადეს, რომ სანკტ-პეტერბურგის მეტროს ვაგონში აფეთქების მოწყობაში ეჭვმიტანილი პირის ვინაობა დაადგინეს. ეს არის 22 წლის აქბარჯონ ჯალილოვი.

ფედერალურმა საგამოძიებო სამსახურმა ეს ცნობა გაავრცელა 4 აპრილს, ერთი დღის შემდეგ, რაც რუსეთის სიდიდით მეორე ქალაქის მეტროში აფეთქებამ 14 ადამიანი იმსხვერპლა.

განცხადებაში წერია, რომ გამომძიებლებმა მიაკვლიეს ჯალილოვის „გენეტიკურ კვალს“ ზურგჩანთაზე, რომელშიც იყო ბომბი და რომელიც მოგვიანებით იქნა აღმოჩენილი პეტერბურგის სხვა, „პლოშად ვოსსტანიის“ მეტროს სადგურზე.

ჯალილოვი 6 წლის განმავლობაში ცხოვრობდა სანკტ-პეტერბურგში და ამ პერიოდში რამდენიმე პასპორტი შეიცვალა.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

2017, 5 აპრილი, №80

შორენა მარსაგიშვილი

კოკოითი არჩევნების ჩაშლით იმუქრება

ცხინვალში 9 აპრილს არეულობას ელოდებიან

საპრეზიდენტო არჩევნებამდე ჰამდენიმე დღით ადრე ცხინვალის ხელისუფლებამ საგანგებო განცხადება გაავრცელა და მოსალოდნელი არეულობაზე აღაპარაჯდა. ეს შემაშფოთებელი ინფორმაცია გენპროკურორმა, შს და უშიშროების მინისტრებმა მიანოდეს.

მათი მტკიცებით, ცხინვალის წინააღმდეგ ძალიან ცუდი და სახიფათო გეგმაა შემუშავებული. ოსი ძალოვნები ამბობენ, რომ ეს გეგმა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ დაიწერა.

გეგმის ავტორი კი მათი ყოფილი პრეზიდენტი ედუარდ კოკოითი ყოფილა. ცხინვალის ხელისუფლების თქმით, ეს კაცი ამ კვირის ბოლოს ცხინვალში დიდი არეულობის მოწყობას აპირებს, რომლის მიზანიც საპრეზიდენტო არჩევნების ჩაშლაა.

ადგილობრივი უშიშროების სამსახურის შეფის ვიტალი შარგაევის ინფორმაციით, რესპუბლიკა ძალიან სახიფათო კამპანიის ზღვარზე იმყოფება.

– არავინ არ ელოდა, რომ რაღაც კატაკლიზმებს ექნებოდა ადგილი, მაგრამ ეს მოხდა. წინასაარჩევნო კამპანია მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა, სანამ მასში კონკრეტული ძალები არ ჩაერთნენ. არჩევნებამდე სულ რამდენიმე დღეა დარჩენილი და რესპუბლიკაში ძალიან შემაშფოთებელი ვითარებაა როგორც პოლიტიკური, ასევე საზოგადოებრივი თვალსაზრისით. ამის თქმის საფუძველს ოპერატიული ინფორმაციაც იძლევა, – აღნიშნა უშიშროების შეფმა.

ის კატეგორიულად გამორიცხავს თავის თანამშრომლებზე ზეწოლას. მას თუ დავუჯერებთ, ოსი კაგებეშნიკები თავის არჩევანში თავისუფლები არიან.

– მათ არანაირი მითითება არა აქვთ მიცემული თუ ვის უნდა მისცენ ხმა. 9 აპრილს ყველა მივა საარჩევნო უბანზე და იმ კანდიდატს მისცემს ხმას, რომელიც მას მოსწონს, – აღნიშნავს შარგაევი.

მისგან განსხვავებით, ნაკლებად შეშინებული ჩანს შს მინისტრი ახსარ ლავოევი. მისი თქმით, ოპერატიული თვალსაზრისით ვითარება ნორმალურია და რესპუბლიკაში მძიმე დანაშაული არ მომხდარა.

ლავოევი პირობას დებს, რომ მისი უწყება ყველაფერს გააკეთებს, რათა არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიაროს.

– ექსპრეზიდენტ ედუარდ კოკოითისა და მისი მომხრეების მხრიდან ადგილი ჰქონდა არეულობის მოწყობის მცდელობას. მათ რამდენიმე არასანქცირებული აქცია და მსვლელობა მოაწყვეს. ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ეს აქციები მასობრივ არეულობაში არ გადაზრდილიყო, – ამაყად განუცხადა მედიას სამხრეთელ ოსთა მთავარმა პოლიციელმა.

ლავოევი შეწუხებულია იმით, რომ კოკოითი და მისი მომხრეები ხელისუფლების წარმომადგენლებს გამყიდველებს ეძახდნენ და სხვადასხვა შეურაცხმყოფელი ეპითეტებით ამკობდნენ. ლანძღვა-გინებას ისინი ძველ რეჟიმში აგრძელებენ და, როგორც ოსი ძალოვნები ამბობენ, რესპუბლიკის იმიჯს ჩირქს სცხებენ.

შს მინისტრის თქმითვე, ეს ადამიანები სრულიად უსაფუძვლოდ ითხოვდნენ მთელი რიგი თანამდებობის პირების, მათ შორის რესპუბლიკის პრეზიდენტის ლეონიდ თიბილოვის გადადგომას. აღსანიშნავია, რომ კოკოითიმ მაშინ აურია, როცა თიბილოვი მოსკოვში წავიდა პუტინთან შესახვედრად. მისი დაბრუნების შემდეგ ვითარება ოდნავ დალაგდა. ლავოევის თქმით კი, ეს სიმშვიდე მოჩვენებითია.

მის ხელთ არსებული ინფორმაციით, კოკოითის ძალიან ბნელი ზრახვები აქვს გულში ჩადებული.

– ამ ადამიანს იმდენად უნდა ხელისუფლებაში მოსვლა, რომ მზადაა ყველა პროვოკაციაზე წავიდეს. მას ცესკომ სამართლიანად უთხრა უარი არჩევნებში მონაწილეობაზე. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ის თავის მომხრეებთან ერთად 9 აპრილს არეულობის მოწყობას და არჩევნების ჩაშლას აპირებს, – ამბობს შს მინისტრი.

ახსარ ლავოევის ინფორმაციით, ამ მიმართულებით კოკოითი და მისი საძმო-სადაქალო აქტიურად მუშაობენ.

– ის თავისი გეგმის სისრულეში მოსაყვანად ცხინვალსა და რესპუბლიკის სხვა რაიონებში მომხრეებს აქტიურად ეძებს, – აღნიშნა ლავოევმა.

მოსალოდნელ საფრთხეებზე გენპროკურორმა ურუზმაგ ჯაგაევმაც ისაუბრა. მას არც ის დავიწყნია, რომ ზოგიერთმა არჩევნების წინ ჩადენილი საქციელით რესპუბლიკას იმიჯი შეულახა.

– ყველა ასეთი ქმედება დოკუმენტურად არის დაფიქსირებული. ჩვენ გვაქვს ვიდეო, აუდიო-ჩანაწერები, სადაც ეს ყველაფერ აღწერილია. ამის გამო ყველას მოეთხოვება პასუხი, – განაცხადა ჯაგაევმა.

გენპროკურორმა განაცხადა, რომ ის ლმობიერი ადამიანია და არ სურს, ვინმეს მიმართ მკაცრი იყოს, მაგრამ როცა საქმე სამშობლოს ეხება, მაშინ თურმე დაუნდობელი ხდება.

მისი თქმით, ხელისუფლება ყველას დასჯის, ვინც არეულობის მოწყობას და არჩევნების ჩაშლას შეეცდება.

ძალოვნებმა კი თქვეს, რომ ეს გეგმა რესპუბლიკის გარეთ დაიწერა, მაგრამ არ დაუკონკრეტებიათ, სად მოხდა მისი შედგენა. კოკოითი რუსეთში ცხოვრობს და წესით იქ უნდა შეექმნა ეს შედევრი. და თუ ყველაფერი მართლაც რუსეთში შეიქმნა, ეს იმას ნიშნავს, რომ ვიღაცას იქაც აწყობს ცხინვალში არეულობა.

ამ დროისთვის ცხინვალსა და მთელ სამჩაბლოში, რომლისთვისაც 9 აპრილს დაგეგმილ რეფერენდუმზე სახელის შეცვლას გეგმავენ, სიმშვიდეა. ძალოვნები სიტუაციის დაძაბვას 7 აპრილიდან ელოდებიან. ცხინვალში კოკოითის დაკავებასაც არ გამორიცხავენ. ეს ალბათ იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად ააფრენს ის კაცი ოფოფებს.

ნაციონალური მოძრაობის წევრები აჭარის მთავრობის სხდომაზე არ შეუშვეს

გუშინ, 4 აპრილს, ნაციონალური მოძრაობის აჭარის რეგიონული ორგანიზაციის წევრები რეზო ხარაზი და ნოდარ დუმბაძე ბათუმში აჭარის მთავრობის სხდომაზე არ შეუშვეს.

როგორც ოპოზიციის წევრებმა ჟურნალისტებს განუცხადეს, მათ აჭარის მთავრობის სახლში შესვლა და მთავრობის მიმდინარე სხდომაზე დასწრება უნდოდათ. მათი თქმით, აჭარის მთავრობის ხელმძღვანელ ზურაბ პატარაძესთან და რეგიონის მინისტრებთან შეხვედრას ითხოვდნენ.

ნაციონალური მოძრაობის წევრ რეზო ხარაზის განცხადებით, ძირითადი კითხვები ასწლოვანი ხეების გურიაში გადარგვას უკავშირდება.

– ზურაბ პატარაძეს ვუთხრათ, სანაპიროზე ჩაჭრილია ჯებირები, ახლაც ხეების გაჩეხვა მიმდინარეობს. კონკრეტულად, ამ ადამიანებისგან მაინტერესებს პასუხი. მოქალაქე ვარ და უფლება მაქვს მთავრობის სხდომას დავესწრო, გავიგო, რაზე მსჯელობენ თავმჯდომარე და მისი უუნარო მინისტრები. კეთილი ინებონ და გამცენ პასუხი ან გამოვიდნენ, – აცხადებს რეზო ხარაზი.

ეკა მიშველაძე: „პოლიციელის მუნდირი დაცულია“

– სამართალდამცველისა და პოლიციელის მუნდირი დაცულია მაშინ, როდესაც ის არა მარტო ებრძვის კრიმინალს, არამედ აკონტროლებს საკუთარ საქციელსაც.

ამის შესახებ პრეზიდენტის პრესსპიკერმა ეკა მიშველაძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პოლიციის მხრიდან გახშირებული შესაძლო ძალადობის ფაქტების შესახებ, მათ შორის, შოთა პაკელიანის საქმეზე დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

– ზოგადად ეს თემა ძალიან სამწუხაროა. მართლაც, არაერთი ასეთი შემთხვევის გაშუქება მოხდა თუნდაც მედიის მხრიდან. არის საზოგადოებაში მოსაზრება, რომ სამართალდამცველები ასეთი ფაქტების გამოძიებისას გარკვეულ კორპორატიულ სოლიდარობას იჩენენ ერთმანეთის მიმართ.

ჩვენ გვინდა, ხაზი გავუსვათ ერთ ფაქტს, რომ სამართალდამცველისა და პოლიციელის მუნდირი დაცულია მაშინ, როდესაც ის არა მარტო ებრძვის კრიმინალს, არამედ აკონტროლებს საკუთარ საქციელსაც, – განაცხადა მიშველაძემ.

26 წლის შოთა პაკელიანის მშობლები სამართალდამცავებს თავიანთი შვილის ცემაში ადანაშაულებენ.

სერგეი ლავროვი: „სანკტ-პეტერბურგში მომხდარი ტერაქტის წარმოჩენა, როგორც რუსეთზე სირიის გამო შურისძიება, ციინიკურია“

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის განცხადებით, სანკტ-პეტერბურგში მომხდარი ტერაქტის წარმოჩენა, როგორც რუსეთზე სირიის გამო შურისძიება, ციინიკურია.

– რაც შეეხება ზოგიერთი მედიასაშუალების მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ეს ტერაქტი რუსეთზე შურისძიებაა სირიაში ჩვენი პოლიტიკის გამო – ასეთი მსჯელობა ციინიკურია. სამწუხაროა, რომ არა მხოლოდ მედიასაშუალებები, არამედ ობამას ადმინისტრაციისას პენტაგონის ზოგიერთი წარმომადგენელიც იზიარებდა მსგავს მოსაზრებას, – განაცხადა სერგეი ლავროვმა.

– ვთვლი, რომ ეს არ ეკადრებათ პოლიტიკოსებს და იმედი მაქვს, რომ არსებულ სიტუაციაში, როდესაც ტერორიზმი ყველას ემუქრება, მსგავს ორმაგ სტანდარტებს ადგილი არ ექნება, – დასძინა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ე.წ. მესაზღვრეებმა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერშუეთთან 45 წლის მამაკაცი დააკავეს

ე.წ. მესაზღვრეებმა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერშუეთის განაპირას ადგილობრივი მკვიდრი, 45 წლის ალიკა გელიაშვილი დააკავეს. გელიაშვილის ოჯახის წევრების განცხადებით, დაკავებულს ჯანმრთელობის პრობლემები აქვს და მუდმივ მედიკამენტოზურ მკურნალობას გადის.

ერთ-ერთი თვითმხილველის, სოფელ ბერშუეთის მცხოვრებ ხვიჩა ბერიანიძის განცხადებით, ალიკა გელიაშვილი ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფებოდა. მათივე ინფორმაციით, სამმა ე.წ. მესაზღვრემ, რომლებიც ფეხით გადაადგილდებოდნენ, რამდენიმე ასეული მეტრით საოკუპაციო ხაზი გადმოკვეთეს და გელიაშვილი დააკავეს.

ოჯახის ინფორმაციით, დაკავებული უკვე ცხინვალის მილიციის იზოლატორშია გადაყვანილი.

ალექსანდრე ჯეჯელავა: „წელს პირველად ელექტრონული სახელმძღვანელოები გვექნება“



– წელს პირველად გვექნება ელექტრონული სახელმძღვანელოები, როგორც ქაღალდის წიგნების ალტერნატივა, ანუ იქნება ქაღალდის წიგნებიც და ელექტრონული წიგნებიც.

ამის შესახებ ჟურნალისტებს განათლების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ განუცხადა.

ჯეჯელავამ წიგნების წონისა და გაკვეთილების რაოდენობის შემცირების თემაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ სამინისტრო რამდენიმე მიმართულებით მუშაობს.

– ამაში ბევრი კომპონენტი იგულისხმება. ერთია, რომ ყველა სახელმძღვანელოს ტარება სავალდებულო არ იყოს; მეორე, გაკვეთილების რაოდენობა აუცილებლად უნდა შემცირდეს; მესამე არის, რომ სადაც დიდტანიანი სახელმძღვანელოებია, აუცილებლად უნდა გავყოთ; მეოთხეა, რომ ახალი სახელმძღვანელოები, რომელიც შემოვა, უნდა იყოს წონის სტანდარტის შესაბამისობაში. ეს სტანდარტები ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად უკვე შევიმუშავეთ და შესაბამისად, ჩვენი მოსწავლეების ჩანთები უკვე წელს შემსუბუქდება, – განაცხადა განათლების მინისტრმა.

ჯეჯელავას თქმით, „ეს პროცესი ჯერ დაბალი კლასების მოსწავლეებს შეეხება, ზედა კლასების მოსწავლეების ჩანთების შემსუბუქება კი შემდგომი წლების ამოცანა იქნება“.

– წელს პირველად გვექნება ელექტრონული სახელმძღვანელოები, როგორც ალტერნატივა ქაღალდის წიგნების ანუ იქნება ქაღალდის წიგნებიც და ელექტრონულიც. მაგალითად, სახლში მოსწავლე ქაღალდის სახელმძღვანელოთი იმუშავებს, სკოლაში ელექტრონულს წაიღებს, – განაცხადა განათლების მინისტრმა.

თამარ ჩხეიძე: „თუ ქვეყანაში სიტუაცია არ შეიცვალა, თბილისის მერად დასვამენ იმას, ვინც ივანიშვილს უნდა“

მარიამ მჭედლიშვილი

თვითმმართველობის მომავალი არჩევნებსა და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა" ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და დეპუტატს თამარ ჩხეიძეს



– პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ დედაქალაქის მერობის შანსი უფრო დამოუკიდებელ კანდიდატებს აქვთ, ვიდრე პარტიულ კანდიდატურებს.

– დამოუკიდებელ ანგარიშგასაწევ ფიგურებს მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებათ არჩევნებში შანსი, თუ ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება რადიკალურად შეიცვალა. თუ ქვეყანაში სიტუაცია არ შეიცვალა, თბილისის მერად დასვამენ იმას, ვისაც „ქართული ოცნება“ წამოაყენებს. უფრო ზუსტად იმას, ვინც ივანიშვილს უნდა. ამ ხელისუფლებაში გადაწყვეტილებებს ეს ერთი კაცი იღებს.

– რადიკალურად ვითარების შეცვლაში რა იგულისხმება?

– ივანიშვილისათვის მართვის საშუალების ჩამორთმევა. თუ ის ამ ბერკეტს დაკარგავს, მერის არჩევნებში გამარჯვების შანსი ექნებათ დამოუკიდებელ ავტორიტეტულ და ცნობილ ადამიანებს.

– ბოლო დროს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ საქართველოში პარტიული ლიდერების კრიზისია..

– პარტიულ ლიდერებს ცალკე არ გამოვყოფდი. ჩვენთან დიდი ხანია, არსებობს საზოგადოების მენტალობის კრიზისი. ესაა საღი აზრის, ადეკვატურობის, პრინციპულობის, მოქალაქეობრივი პოზიციის დეფიციტი. ეს პრობლემა უკვე ათწლეულებია არის.

– სიდუხჭირემ ამ მხრივ შეცვალა რაიმე?

– ქვეყანაში არსებულმა სიდუხჭირემ ეს პრობლემა უფრო გააძლიერა. ყველა სფეროში მძიმე ფონია შექმნილი. რაც ყველაზე უფრო ცუდია, დამკვიდრებულია თვითნებობა. ამაზე საზოგადოებას რეაქცია არ აქვს. ყველა ადამიანს ვერ მოსთხოვ, ერკვეოდეს პოლიტიკაში, იცოდეს საგარეო პოლიტიკის ნიუანსები, მაგრამ ხომ უნდა გაარჩიოს თავნებობა, რომელიც აშკარაა ჩვეულებრივ ყოფაში!

– კონკრეტულად?

– დღევანდელი საზოგადოების არაადეკვატური პასიურობა იკვეთება იმ მოვლენების მიმართ, რომელიც აჭარასა და გურიაში ხდება. ერთი კაცის ახირების გამო გადათხრილია უშველებელი ტერიტორიები, ხდება გიგანტური ხეების ტრანსპორტირება, რაც აუნაზღაურებელ ზიანს აყენებს ბუნებას. ხალხი ამაზე ადეკვატურად უნდა რეაგირებდეს. ამაზე მასშტაბური განუკითხაობა იყო კულტურის ძეგლის – საყდრისის აფეთქების შემთხვევაში.

– საზოგადოებამ ეს გააპროტესტა.

– საზოგადოების ნაწილი ამას ახლაც აპროტესტებს, მაგრამ ეს არასაკმარისია. ამ რელიეფური საოცრებების გამო ანომალიაში ვართ ჩავარდნილი.

– ადგილობრივი არჩევნებისთვის შეიძლება რამდენიმე ქალაქს ჩამოართვან თვითმმართველი ქალაქის სტატუსი.

– დიახ. ამ ქალაქების მერებს ხალხი აღარ აირჩევს. ეს არ იქნება წინგადადგმული ნაბიჯი. ხელისუფლება ამით ცდილობს უფრო კომფორტული პირობები შეიქმნას.

– ამ იდეის მომხრეები აცხადებენ, რომ ამით შემცირდება ბიუროკრატია, რომელმაც თვითმმართველობას ვერაფერი შემატა.

– ხელისუფლება რომ ხარჯების შემცირებაზე მართლაც ზრუნავდეს, შტატებს ყველგან ასე უთავბოლოდ არ გაზრდიდა და არც ამდენ პრემია-დანამატებს დაარიგებდა. თვითმმართველი ქალაქების შემთხვევაში ხელისუფლებას უნდა, უფრო მეტი კომფორტი შეიქმნას და მეტად გააკონტროლოს სიტუაცია. სხვა ბერკეტებს ამასაც უმატებს.

– ხელისუფლებას ადანაშაულებენ იმაშიც, რომ არ ცვლის საარჩევნო სისტემას.

– ამის ნიშნები ჩანს. პრეზიდენტის არჩევის წესს, სავარაუდოდ, არა 2018 წლისთვის, არამედ, მომავალი არჩევნებისათვის შეცვლიან. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ არაფერი შეიცვალა. „ქართულ ოცნებას“ არც მაჟორიტარული სისტემა ეთმობა. კიდევ ერთი ძალიან ცუდი იდეაა გადაუნაწილებელი მანდატების პირველ ადგილზე გასული პარტიისათვის მიცემა. ეს ყველაფერი მიანიშნებს, რომ ხელისუფლება პოზიციების დათმობას არ აპირებს. მას უნდა, მინიმალური მხარდაჭერით ჰქონდეს უმრავლესობა პარლამენტში და კონტროლი ყველაფერზე. მათ შორის, პრეზიდენტზე. პრეზიდენტი უნდა იყოს ივანიშვილის მიერ მართული. ასეთი გეგმები აქვთ, თუმცა, არავინ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები.

– იგეგმება საპარლამენტო მმართველობის შემოღება. ასეთი სისტემის დროს ძლიერი პარტიები არ უნდა არსებობდნენ?

– თქვენ, ალბათ, კლასიკურ პარტიებს გულისხმობთ. კლასიკურ პარტიებს საქართველოში ხელი არ ეწყობა. ზოგი პარტია ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, ზოგი – გარე ძალებზე. მრავალპარტიულობას ფასადური ფორმა აქვს. ბუნებრივია, საპარლამენტო მმართველობის დროს უნდა არსებობდნენ კლასიკური ტიპის პარტიები.

– მათი არარსებობისას მომავალ პარლამენტში შეიძლება 1 ან 2 პარტია მოხვდეს.

– თუ ყველაფერი ასე გაგრძელდა და არანაირი ცვლილება არ მოხდა, ასეც იქნება. საერთოდ მეეჭვება, რომ ნამდვილი დემოკრატია ასე ადვილად და მალე დამყარდეს.

გულიკო ბალაძე

„თურქეთში არსებული დაპირისპირება, შესაძლოა, საქართველოში გადმოვიდეს“

ვახტანგ მაისაია: „ტერაქტები პუტინს ვერ შეაჩერებს“

რა გეგმები და მიზნები აქვს ერდოღანს და რატომ ძაბავს ევროპასთან ურთიერთობებს? რა უნდა გაითვალისწინოს საქართველოს ხელისუფლებამ, თურქეთის ხელისუფლების მისწრაფებებიდან გამომდინარე? რა არის რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებში ჩრდილოვანი მხარე? — ამ საკითხებზე „ახალ თაობას“ ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია ესაუბრა.

– ბატონო ვახტანგ, თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა ჯერ მუსლიმანებს მოუწოდა, ევროპაში 5-5 შვილი გააჩინეთო და, ფაქტობრივად, მოწოდება იყო, გადავუაროთო. ახლა კი რომის პაპთან ევროპელი ლიდერების შეხვედრა ჯვაროსნული ომისთვის მზადებას შეადარა. ევროპას მუსლიმანური ექსპანსიის საფრთხე ემუქრება? რა უნდა ერდოღანს?

– ერდოღანმა უარი მიიღო ევროპელი მოკავშირეებისაგან, ევროპული ტერიტორია გამოეყენებინა თურქეთის შიდა საკითხების მოსაგვარებლად. ფაქტობრივად, მას არ მისცეს საშუალება, ევროპაში მცხოვრები თურქები ჩაეთრიათ ერდოღანის მიერ წარმოებულ სხვადასხვა პოლიტიკურ თამაშში. მოგეხსენებათ, თურქეთის რამდენიმე მინისტრი არ მიიღეს ჰოლანდიასა და დანიაში, რადგან ერდოღანს უნდოდა, თავისი საქმე გაეკეთებინა ევროპაში მყოფი თურქული დიასპორის ხარჯზე. თურქეთში ძალიან მალე რეფერენდუმი იმართება ძალიან მკაცრი საპრეზიდენტო მმართველობის ფორმის შემოღებაზე. ამერიკის საპრეზიდენტო მმართველობაზე მკაცრი იქნება. ფაქტობრივად, უქმდება პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, პრეზიდენტი ხდება შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი.

ფაქტობრივად, ის ხდება საკანონმდებლო ინიციატივების მფლობელი. პრეზიდენტს შეუძლია ქვეყნის პარლამენტის დათხოვნა. ასეთი ფუფუნება ათათურქსაც კი არ დასიზმრებია. მან შეზღუდა პრეზიდენტის როლი ქვეყნის მმართველობაში და მოახდინა ბალანსირება სხვა სახელისუფლებო შტოებს შორის. ამავე დროს, თურქეთის პრეზიდენტს აქვს უფლება, კონტროლი გაუწიოს უმაღლეს სასამართლო ორგანოს, მოსამართლეებისა და პროკურორების საბჭოს, რომლის კომპეტენციაშია სასამართლო ხელისუფლების კონტროლი.

ერდოღანი აპირებს, დაიქვემდებაროს ქვეყნის მთავრობა და ის იქნება ქვეყნის ერთადერთი მმართველი, რაც საშიშია დემოკრატიული მმართველობისთვის.

– მთავარი ის არის, ასეთი ძალაუფლების მიღების შემდეგ ერდოღანს რა გეგმები და მიზნები აქვს.

– ევროპას ეს ძალიან აღელვებს. მათ ნახეს, რომ ერდოღანი არცთუ ისე გაწონასწორებული პიროვნებაა. მას აქვს დიდი ამბიციები. ერდოღანს სურს, თურქეთი გადაიყვანოს პანთურქიზმის იდეებზე, ფაქტობრივად, აპირებს თურქული სახალიფოს მოდელის სახელმწიფოს შექმნას, ცდილობს, პანთურქიზმის იდეა გახადოს მთავარი იდეოლოგიური კრედო. ეს არის თურქეთის აღზევებისკენ მისწრაფება. ერდოღანი ცდილობს, ქვეყანა გადაიყვანოს ისლამისტურ რელსებზე. ეს არის ერდოღანის მიზანი. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები ერდოღანის ჩანაფიქრს მიხვდნენ და საშუალება არ მისცეს, მათი ქვეყანა შიდა დაპირისპირების ასპარეზად გადაექციათ. ამას ყურადღება ჩვენმა ხელისუფლებამაც უნდა მიაქციოს.

– რას გულისხმობთ? შეიძლება, თურქეთმა ჩვენთან შიდა დაპირისპირება გამოიწვიოს?

– მეზობელ სახელმწიფოს საშუალება არ უნდა მივცეთ, ჩვენი ქვეყანა შიდა პოლიტიკური საპირისპირების ასპარეზად გადააქციოს. არ უნდა მოხდეს საკუთარი პოლიტიკური ელემენტების გადმოტანა ჩვენს ტერიტორიაზე, რისი მაგალითიც იყო შაჰინის სკოლის დახურვა ბათუმში, რაც ჩვენთვის სახიფათო ელემენტი შეიძლება გახდეს. თუ ამ შემთხვევაში დანია, პოლანდია, გერმანია წინ აღუდგნენ ერდოღანს, მათ პირდაპირ უარი უთხრეს თურქეთის ხელისუფლებას, თავისი გეგმები განეხორციელებინა. ჩვენც, როგორც ევროკავშირის ასოცირებული წევრი ქვეყანა, ვალდებული ვართ, ფრთხილად ვიყოთ, რომ ჩვენც არ მოვხვდეთ მათ ინტერესებში.

– ფიქრობთ, რომ თურქეთის ხელისუფლებას გაუწიეს ანგარიში და შაჰინის სკოლა იმიტომ დაიხურა?

– ასე ჩანს. გონივრული პოლიტოლოგიური ეჭვის საფუძველზე ამ ვერსიას გამოვთქვამ.

– ყოველგვარი კვლევის გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ ყველა სკოლა, რომლებიც მათი ეგიდით, თურქეთის წარმომადგენლების ჩარევით ამოქმედდა, დარღვევებით იქნება გახსნილი. ამიტომ სწორედაც დახურვას ექვემდებარება ისეთი სკოლები, რომლებიც უკანონოდ და დარღვევებითაა გახსნილი.

– ვერ დაგეთანხმებით, ის სკოლები, რომლებზეც საუბარია, გაიხსნა დემირელი-შევარდნაძის შეთანხმებით და სეკულარული სკოლებია. სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. საქართველოს მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით, ამ სკოლებში დასაქმებულები არიან ქართველი მასწავლებლები და სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობს.

– თურქეთის ხელშეწყობით მუსლიმანური ექსპანსია რომ ხდება?

– ეს სხვა საკითხია, ზემოთ აღნიშნული სკოლების გახსნა კი დაკავშირებულია იმ პროგრამებთან, რომლებსაც ახორციელებდა თურქეთი სახელმწიფოთაშორის დონეზე. სკოლის დახურვა მაგალითად მოვიყვანე, თორემ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა პასუხი გასცეს თურქეთის დღევანდელი ხელისუფლების მისწრაფებებს, გადაექციათ ეს ქვეყნები შიდა პოლიტიკური დაპირისპირების არენად. ამგვარი რამ გამოწვევის სახით საქართველოს წინაშეც შეიძლება დადგეს. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა ამაზე მოახდინეს რეაგირება.

– თურქეთმა ქურთების პრობლემა საბოლოოდ გადაწყვიტა?

– ქურთების პრობლემა ბოლომდე მოგვარებული არ არის. პირიქით, ქურთების პრობლემამ მიიღო ინტერნაციონალური ხასიათი. სირიის კონფლიქტმა ამის რეალური არსი გამოაჩინა. თურქეთსა და ამერიკას შორის განხეთქილების ვაშლი სწორედ ქურთების პრობლემა აღმოჩნდა. სირიის ქურთებზეა საუბარი, რომლებსაც აშშ ეხმარებოდა. სხვათა შორის, ქურთების საკითხი განხეთქილების ვაშლი აღმოჩნდა თურქეთ-რუსეთის ურთიერთობებშიც.

– კერძოდ?

– თურქეთ-რუსეთის ურთიერთობები არ არის მზიანი, გაჩნდა ღრუბლები. ჩრდილოვანი მხარეა სწორედ ქურთების საკითხი, რომლის გადაწყვეტაც ვერ მოხერხდა მოსკოვის შეხვედრაზე ერდოღანსა და პუტინს შორის. ეს საკითხი ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობებში დაძაბულობის მიზეზად რჩება.

– პუტინი დაინტერესებული იყო ამ პრობლემის გადაწყვეტით?

– პუტინს აქვს თავისი ინტერესები. ამ ინტერესებს სირიის მიმართულებით ახორციელებს. ის ცდილობს, ხელი შეუწყოს ქურთული კარტის გათამაშებას. ქურთების პოლიტიკური ჯგუფები ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში 40-იანი წლების ნახევარში შეიქმნა. თავის დროზე საბჭოთა კავშირი ლობირებდა ირანის ტერიტორიაზე საბჭოთა რესპუბლიკის შექმნას. რაღაც პერიოდში ეს რესპუბლიკა არსებობდა. თუ არ ვცდები, წელიწად-ნახევრის განმავლობაში იარსება. როდესაც საბჭოთა ჯარებმა ჩრდილოეთ ირანის ტერიტორია დატოვეს და ამ რეგიონის დეოკუპაცია მოხდა, ირანის შაჰმა მოახერხა მათი განადგურება, რასაც დაერქვა ქურთული სეპარატიზმის მოსპობა ქვეყნის ჩრდილოეთით.

ბუნებრივია, საბჭოთა კავშირი ქურთულ მემარჯვენე დაჯგუფებას სამხედრო-პოლიტიკურ დახმარებას უწევდა თურქეთის მიმართულებითაც. ამდენად, რუსეთს ქურთებთან ურთიერთობის 50-წლიანი გამოცდილება აქვს.

– ამ ვითარებაში რატომ ცდილობს თურქეთი, ევროპასთან ურთიერთობა დაძაბოს? ყველგან გასწვდება? ამხელა პრობლემები აქვს და ევროპაში პრობლემების შექმნას ცდილობს?

– ამჟამინდელი თურქეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს უნდათ, ქვეყანა იზოლაციაში მოაქციონ.

– ისლამური ხალიფატის პრობლემა დაიძლია, რომ ურთიერთქიშპობენ?

– ხალიფატის პრობლემა, ცხადია, არ დაძლეულა. ამაზე მეტყველებს სანკტ-პეტერბურგში მომხდარი აფეთქება. აფეთქების შედეგად 10 კაცი დაიღუპა. ვუსამძიმრებ დაღუპულების ოჯახებს. სავარაუდოდ, ისლამური ხალიფატი აიღებს პასუხისმგებლობას, რადგან რუსეთი ერაყის მიმართულებითაც გააქტიურდა და საჰაერო დარტყმებს ახორციელებდა. როგორც ჩანს, ისლამური სახალიფოს საპირისპირო დარტყმაც ხორციელდებოდა. ისლამური ხალიფატის პრობლემა ისევ დღის წესრიგში დგება.

– როგორ ფიქრობთ, ტერაქტები რუსეთის ახლო აღმოსავლეთისკენ სწრაფვას შეაჩერებს?

– არა მგონია, ტერაქტებმა რუსეთი შეაჩეროს. პირიქით, ტერაქტები მას უფრო აგრესიულს გახდის.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

რას უნდა მიაქციოთ ყურადღება სადაზღვევო კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმებისას

მოწინავე ქვეყნებში დაზღვევის სისტემა ძალიან კარგად არის განვითარებული.

მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული დაზღვევა გინესის რეკორდების წიგნშიც კი შეიტანეს: ეს გახლავთ სიცოცხლის დაზღვევა, რომელიც მის მფლობელს 201 მილიონი დოლარი დაუჯდა. ამ დაზღვევის მფლობელი ტექნოლოგიური ბიზნესით დაკავებული ამერიკელი მილიარდერია. სამწუხაროდ, მისი ვინაობა დღემდე არ არის ცნობილი. დაზღვევის კულტურა თანდათან საქართველოშიც შემოდის, თუმცა ამ სფეროში უამრავი ხარვეზი შეიმჩნევა, რაზეც ადვოკატი ირაკლი უტიაშვილი გვესაუბრება.

– მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ეს სფერო აშკარად წინ წავიდა, სადაზღვევო კომპანიების საქმიანობაში ბევრი რამ არის გამოსასწორებელი: ხშირად ეს კომპანიები კლიენტებს არაკეთილსინდისიერად ეპყრობიან და მათთვის თანხის გადახდას თავს არიდებენ. თავდაპირველად ყურადღებას გავამახვილებ სამედიცინო დაზღვევაზე, რადგან აქ ყველაზე მეტ დარღვევას ვაწყდებით. ჩემს პრაქტიკაში ამ ტიპის დაზღვევასთან დაკავშირებული არაერთი ფაქტი ყოფილა. სადაზღვევო კომპანიები ხშირად არიან გარიგებაში პროვაიდერ კლინიკებთან და როდესაც პაციენტის მდგომარეობის შესახებ დოკუმენტაციას ადგენენ, ბევრ რამეს ამახინჯებენ. ჩემს საადვოკატო პრაქტიკაში იყო ასეთი შემთხვევა: ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანიის კლიენტმა სამკურნალოდ პროვაიდერ კლინიკას მიმართა, სადაც ის 30 საათის განმავლობაში იწვა.

სამედიცინო დახმარება კი გაუწიეს, მაგრამ საბუთებში 23 საათი ჩაუწერეს ანუ კლინიკაში შესვლის და გაწერის დრო შეგნებულად შეუმცირეს, რითაც თანხის გადახდას თავი აარიდეს.

30 საათის განმავლობაში პაციენტს კომპანიისთვის გაცილებით მეტი თანხის მოთხოვნა შეეძლო. კიდევ ერთი ასეთი ფაქტი მახსენდება: საკმაოდ ცნობილი და პრესტიჟული კომპანია პაციენტს არ უნაზღაურებდა დაზღვევის თანხას და თავს იმით იმართლებდა, რომ პროვაიდერ კლინიკას გარკვეული ლიმიტი ჰქონდა დაწესებული. სასამართლო პროცესზე პაციენტს უმტკიცებდნენ – თქვენ მიერ მიღებული მომსახურება დადგენილ ლიმიტს სცდებაო. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ლიმიტი 2, ან 3 ათასი ლარია, სადაზღვევო კომპანია ამაზე მეტ თანხას არ აანაზღაურებს. ნებისმიერი ადამიანი შეიძლება დადგეს ამგვარი დაბრკოლების წინაშე და დაზღვევით განკუთვნილი თანხა ვერ მიიღოს.

– ბატონო ირაკლი, ყველაზე დიდი სირთულე რა არის დაზღვეულთათვის?

– პირველ ყოვლისა, ბუნდოვანი და გაურკვეველი ხელშეკრულებები. სადაზღვევო კომპანიასთან დადებული ხელშეკრულებები ხშირად იმდენად რთული ტერმინოლოგიით არის შედგენილი, რომ კომპანია თუ მოინდომებს, ყოველთვის თავს დაიძვრენს და უარს იტყვის თანხის ანაზღაურებაზე. მათი კლიენტების უმრავლესობა ხელშეკრულებას არც კითხულობს და რომც წაიკითხოს, ისინი იმდენად ბუნდოვანია, რომ ვერც გაიგებს. თანაც, ხელშეკრულებებში ისეთი პუნქტებია ჩადებული, რომელიც ორმაგად იკითხება და საშუალებას აძლევს სადაზღვევო კომპანიას თანხა არ აანაზღაუროს. სერიოზული პრობლემა ისიც, როცა სადაზღვევო კომპანიები დროულად არ ურიცხავენ თანხას სამედიცინო დაწესებულებებს, რის გამოც სამედიცინო პერსონალი ხელფასს დროულად ვერ იღებს.

– სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში რა დარღვევები შეიმჩნევა?

– სესხის გამოტანისას, ბანკები მსესხებელს ავტომატურად აზღვევენ, რომ მისი გარდაცვალების შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიამ თანხა აანაზღაუროს. სინამდვილეში, თუ მსესხებელი დაიღუპება, ბანკი მის თავდებში მყოფ პირს ავალდებულებს, რომ თანხა გადაიხადოს. სადაზღვევო კომპანიები თანხას არ იხდიან თვითმკვლელობის შემთხვევაშიც. იგივე ხდება მაშინ, როცა გარდაცვალება არ არის დაკავშირებული შემთხვევითობასთან და თუ მსესხებელმა იცოდა, რომ რთული მდგომარეობა ჰქონდა და ეს ბანკს არ შეატყობინა. ძალიან ბევრ დარღვევას ვაწყდებით ავტომობილების დაზღვევაშიც. მაგალითად: როდესაც ავტოსაგზაო შემთხვევა ხდება, თუ საჭესთან ზის მძღოლი, რომელსაც ეს მანქანა არ ეკუთვნის, ან მართვის მოწმობა არა აქვს, მაშინ სადაზღვევო კომპანია უარს ამბობს გადაიხადოს დაზღვევით გათვალისწინებული თანხა.

იყო შემთხვევა, როდესაც ავარიის შემდეგ კლიენტი დაიბარეს და დააწერინეს განცხადება, რომ ის უარს ამბობდა დაზღვევის თანხაზე, თანაც ეს ფსიქოლოგიური ზეწოლის ფონზე მოხდა.

ერთ-ერთი პირი, რომელსაც ავტომობილი დაზღვეული ჰქონდა, თავის ნაცნობს დაეჯახა. რატომღაც სადაზღვევო კომპანიამ მიიჩნია, რომ ეს წინასწარ დაგეგმილი სცენარი იყო. მას თანხის გადახდაზე დღემდე უარს ეუბნებიან. რაში სჭირდებოდა ამ ადამიანს, წინასწარ დაეგეგმა ავარია, როცა ორივე მანქანის შეკეთება დაუჯდება იმდენი ან გაცილებით მეტი, რაც სადაზღვევო კომპანიამ უნდა გადაიხადოს? მით უმეტეს, შეკეთებული ავტომანქანის ღირებულება საგრძნობლად მცირდება.

– უძრავი ქონების დაზღვევის დროსაც ხდება მსგავსი ფაქტები?

– რასაკვირველია. მესაკუთრემ უნდა წარადგინოს, რა მიზეზით განადგურდა, ან დაზიანდა უძრავი ქონება და თუ ასეთი მიზეზი ვერ დადგინდება, სადაზღვევო კომპანია თავისუფლდება თანხის ანაზღაურებისგან. ყოფილა შემთხვევა, როცა ხანძრის მოწყობას და სახლის დაწვას ოჯახის წევრებს აბრალებდნენ.

საშინელი მდგომარეობაა აგროდაზღვევაშიც: სადაზღვევო კომპანიების წარმომადგენლები ჩადიან რეგიონებში, დაზარალებული ფერმერები დაუფიქრებლად აწერენ ხელს ხელშეკრულებებს და მერე კომპანია ყველანაირად ცდილობს მათ კუთვნილი თანხა არ აუნაზღაუროს. ამას ხელს ისიც უწყობს, რომ ხელშეკრულების ერთი მუხლი ზოგჯერ ერთს ამბობს, მეორე კი – სულ სხვას. ამიტომ, ნებისმიერი ადვოკატის რჩევა დაზღვეულების მიმართ ასეთია: კარგად წაიკითხეთ სადაზღვევო ხელშეკრულება და ყურადღებით გაეცანით მის პირობებს. ძირითადი დებულებები მაინც უნდა იცოდეთ, რომ ბოლოს წაგებული არ დარჩეთ.

ბიპიენი

მეტროს მსგავსად, შესაძლოა, ავტობუსის გაჩერებების გამოცხადებაც დაიწყოს

– გაჩერებების სახელდებაც გვინდა, რომ ავტობუსის გაჩერებები გამოცხადდეს. ამის შესახებ საკრებულოს მაჟორიტარმა დეპუტატმა „სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის“ თავმჯდომარე ლია ჯახველაძემ განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, იგეგმება ახალი მეტროს გახსნაც.

ამასთან, თბილისის ამა თუ იმ კვარტალში (გლდანი, ვარკეთილი) კვარტალური რუკებიც დაიდგმება, რომელზეც ყველაფერი დაიტანება. ეს კი ადამიანებს, თუნდაც სასწრაფო დახმარებას, სახანძროს, უცხო სტუმარს, ტურისტებს ორიენტაციისთვის დაეხმარება.

ბიპიენი

2017 წლის იანვრიდან პირველ აპრილამდე ბიომეტრიული პასპორტი 83.042 მოქალაქემ აიღო

წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, 2017 წლის იანვრიდან პირველ აპრილამდე საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტი 44.624-ით მეტმა ადამიანმა აიღო.

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტის გაცემის სტატისტიკა გაიზარდა, კერძოდ, 2017 წლის იანვრიდან პირველ აპრილამდე ბიომეტრიული პასპორტი 83.042 მოქალაქემ აიღო, ხოლო 2016 წლის ანალოგიურ პერიოდში (იანვრიდან პირველ აპრილამდე) 38.418 ბიომეტრიული პასპორტი გაიცა.

საქართველოს მოქალაქეებს ევროპაში უვიზოდ მიმოსვლა მხოლოდ ბიომეტრიული პასპორტით შეუძლიათ. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით, დღეს საქართველოს 1 მილიონამდე მოქალაქე ბიომეტრიულ პასპორტს ფლობს.

ბიპიენი

ქუთაისში „სკეიტ პარკის“ მოწყობის მოთხოვნით აქცია გაიმართა

ქუთაისში, მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე, ახალგაზრდებმა „სკეიტ პარკის“ მოწყობის მოთხოვნით აქცია გამართეს.

აქციის მონაწილეების თქმით, მათ შესაბამისი ტერიტორია არ აქვთ, რომ ივარჯიშონ, ამიტომ ქალაქის ცენტრალურ ნაწილში უწევთ ხშირად ვარჯიში, რაც მიუღებელია. აქციის მონაწილეები ადგილობრივ ხელისუფლებას მათთვის შესაბამისი ტერიტორიის გამოყოფას სთხოვენ.

– ადგილობრივ ხელისუფლებას ვთხოვთ, შესაბამისი ადგილი გამოგვიყონ, სადაც ინფრასტრუქტურა მოეწყობა და ვარჯიშის შესაძლებლობა გვექნება. რამდენჯერმე მივმართეთ ადგილობრივ ხელისუფლებას, მაგრამ ყურადღებას არ გვაქცევს. ამიტომ დღეს მერიასთან აქცია გავმართეთ, – აცხადებენ ახალგაზრდები.

ინტერპრესნიუსი

ფერმერების ნაწილი აგროდაზღვევის აუცილებლობას ისევ ვერ ხედავს

10 აპრილიდან აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა განახლდება, თუმცა სოფლად მცხოვრები მოსახლეობა აგროდაზღვევის საჭიროებას ვერ ხედავს და აცხადებს, რომ მათ „დაზღვევაში“ დასახარჯი ფული არ აქვთ. აგროდაზღვევის პროგრამაში მიმდინარე წლიდან თანამონაწილეობა სახელმწიფოს მხრიდან ყველა კულტურაზე 70% იქნება, ხოლო ვაზზე – 50%.

აგროდაზღვევის პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც საკუთრებაში, სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში გააჩნია არაუმეტეს 5 ჰა (ხორბლის მოსავლის დაზღვევის შემთხვევაში არაუმეტეს 30 ჰა) ფართობის ჩათვლით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ასევე ნებისმიერ ბენეფიციარს, რომელიც ფლობს, მაგალითად, 30 ან 100 ჰექტარს, შეუძლია, 5 ჰექტარი მიწის ნაკვეთის დაზღვევისას მიიღოს სახელმწიფოს მხრიდან თანადაფინანსება.

გასული წლისგან განსხვავებით, წელს შემცირდა მოცდის პერიოდი და სადაზღვევო პოლისის გაცემის თარიღიდან 4-დღის ვადით (5 დღის ნაცვლად) განისაზღვრა. გარდა ამისა, წელს აგროდაზღვევის ტარიფები გაიაფდა.

აგროდაზღვევის პროგრამაში ჩართვა შეეძლება საქართველოს ტერიტორიაზე ლიცენზირებულ ყველა სადაზღვევო კომპანიას. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს „აგროდაზღვევის პროგრამის“ მენეჯერი ლევან მაღრაძე „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავს, რომამ დროისთვის სადაზღვევო კომპანიებთან მოლაპარაკების პროცესი მიმდინარეობს. ამ ეტაპზე პროგრამაში ჩართვით 4 სადაზღვევო კომპანიაა (ალდაგი, ჯიპიაი ჰოლდინგი, არდი და აისი ჯგუფი) დაინტერესებული.

დაინტერესდება თუ არა განახლებული აგროდაზღვევის პროგრამით აგრარული სექტორი, ამის გარკვევა „კომერსანტმა“ ცადა.

კოოპერატივი „რაჟდენი“ აგროდაზღვევის პროგრამაში დღემდე ჩართული არ არის. მათი ძირითადი საქმიანობა ხაშურის რაიონის სოფელ წრომში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მოყვანა, შეფუთვა, შენახვა და რეალიზაციაა.

კოოპერატივის დირექტორი არჩილ ლურსმანაშვილი „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავს, რომ კოოპერატივად ჩამოყალიბების შემდეგ მოგება ისეთი არ აქვთ, ფული დაზღვევაში გადაიხადონ.

მისი განცხადებით, კოოპერატივ „რაჟდენს“ 10 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე კარტოფილი და ხორბალი მოჰყავს, ამისთვის კი ბანკებიდან სესხი აქვს აღებული. ლურსამანაშვილის ინფორმაციით, მანამდე, სანამ ბანკებში არსებულ კრედიტებს არ გადაიხდის, დაზღვევით ვერ დაინტერესდება.

– აგროდაზღვევის პროგრამით არასოდეს მისარგებლია იმიტომ, რომ ჩვენთან არაფერი ისეთი სტიქიური უბედურება არ ხდება, რომ ზედმეტი ფული ამაში დავხარჯო. როდესაც მოგებაზე გავალთ, მერე აუცილებლად დავაზღვევთ. ჯერჯერობით ბანკებზე ვართ დამოკიდებული, კრედიტებს ვიხდით, – აცხადებს ლურსმანაშვილი.

ფინანსური პრობლემების გამო აგროდაზღვევით სარგებლობას აღარ აპირებს წალენჯიხის რაიონში არსებული კოოპერატივი „ნაკიფუ 2014“-ის ხელმძღვანელი ივერი კვარაცხელია.

მისი განცხადებით, კოოპერატივის საკუთრებაშია თხილის პლანტაციები, რომელიც გასულ წელს დაზღვეული ჰქონდა. როგორც კვარაცხელია განმარტავს, წელს მცირე მოსავალი იქნება, რადგან პლანტაციები სიცივის გამო გაიყინა, შედეგად, დაზღვევის საჭიროება არ არის. გარდა ამისა, როგორც კვარაცხელია განმარტავს, კოოპერატივს არ აქვს იმდენი შემოსავალი, რომ დაზღვევაში ფული გადაიხადოს.

„მომავლის ფერმერის“ ხელმძღვანელი რუსუდან გიგაშვილი კი აცხადებს, რომ კარგი იქნება, თუ სახელმწიფო და სადაზღვევო ინდუსტრია ერთობლივად აღნიშნული პროდუქტის კიდევ უფრო მეტ პოპულარიზაციას მოახდენენ. მისი მტკიცებით, სხვა შემთხვევაში, ძალიან გაჭირდება აგროდაზღვევის, როგორც პროდუქტის რეალიზაცია. მისი თქმით, ამისთვის განსაკუთრებულად მჭიდრო კონტაქტი რეგიონულ მაუწყებლებთან უნდა იყოს.

– მაგალითად, არ აფინანსებენ მეცხოველეობას. სადაზღვევო კომპანიებს ამ ნაწილში ისეთი დიდი რისკები აქვთ ჩადებული, რომელიც ძალიან იშვიათად შეიძლება ფერმერს დაუდგეს. ამიტომ არ აინტერესებთ, ფერმერს დაავადებების დაზღვევა აინტერესებს, ამას კი არცერთი სადაზღვევო კომპანია არ აფინანსებს, – აცხადებს გიგაშვილი.

მისი თქმით, დღეს აგრარულ სექტორში ყველაზე დიდი პრობლემა ირიგაციაა. მიუხედავად ამისა, გვალვა აგროდაზღვევის პროგრამაში ჩადებული არ არის.

შეგახსენებთ, აგროდაზღვევის ახალი პროგრამისთვის, ბიუჯეტიდან წელს 7 მილიონი ლარი გამოიყოფა. აგროდაზღვევის სახელმწიფო პროგრამა 2014 წელს დაიწყო და უკვე 3 წელია მიმდინარეობს. პროექტის მიზანი აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნება და რისკების (სეტყვა, წყალდიდობა, ქარიშხალი, საშემოდგომო ყინვა) შემცირებაა.

კომერსანტი

ევა გოცირიძე: „სასამართლოს კრიტიკა დასაშვებია“

– სასამართლოს კრიტიკა დასაშვებია, მაგრამ მიუღებელია გამონათქვამები, რომელიც მოსამართლის მიმართ ზიზღს აღვივებს.

ამის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა ევა გოცირიძემ იურიდიულ საკითხთა კომიტეტში მართლმსაჯულების სტრატეგიის დოკუმენტის პრეზენტაციის დასრულების შემდეგ დისკუსიის ფარგლებში საუბრისას განაცხადა.

როგორც ევა გოცირიძემ აღნიშნა, ამ კონტექსტში გამოხატვის თავისუფლება უნდა იზღუდებოდეს, თუ ის კონკრეტული მოსამართლის რეპუტაციას ლახავს.

– მოსამართლე სახელმწიფო მოხელეებთან ერთად იმყოფება იმ კატეგორიაში, ვის მიმართაც დასაშვები კრიტიკის ფარგლები არის საშუალო. ამ კატეგორიაში, ვის მიმართაც დასაშვები კრიტიკის ფარგლები საშუალოა, მოსამართლე გახლავთ ის თანამდებობის პირი, ვის მიმართაც არის ყველაზე უფრო ვიწრო ეს დაშვება, იმიტომ, რომ მოსამართლეს ეკისრება თავშეკავებულობის ვალდებულება და მოკლებულია საშუალებას, პრესასთან აქტიური ურთიერთობა გააჩაღოს, უპასუხოს ადეკვატურად თავდამსხმელს და იგივე ტერმინები გამოიყენოს, რომლებიც მის წინააღმდეგ გამოიყენეს.

ასე რომ, გამოხატვის თავისუფლება უნდა იზღუდებოდეს, იზღუდება და ეს შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. რა თქმა უნდა, საუბარია გარკვეულ დოზაზე. სასამართლოს კრიტიკა დასაშვებია, მაგრამ ისეთი გამონათქვამები სასამართლოს მიმართ, რომელიც არის სასამართლოსა და მოსამართლის ზიზღის გასაღვივებლად, რაც ძალიან ხშირია ჩვენს ცხოვრებაში, რომელიც ახდენს მის დისკრედიტაციას მოსახლეობის თვალში, მიუღებელია, – განაცხადა ევა გოცირიძემ.

მისივე თქმით, ხშირია პოლიტიკოსების მხრიდან ისეთი გამონათქვამები, რომლებიც მოსამართლეთა დისკრედიტაციას ისახავს მიზნად, შესაბამისად, მოსამართლეს უნდა ჰქონდეს უფლება, მიმართოს სასამართლოს.

– მე ბევრჯერ მომისმენია პოლიტიკოსებისგან გამონათქვამები, რომ მოსამართლეები კრიმინალების ჯგუფია, მაფიოზების ბანდაა. ეს არის ყოვლად მიუღებელი. დიახ, ასეთი გამონათქვამები უნდა იზღუდებოდეს და მოსამართლეს უნდა ჰქონდეს უფლება, თავისი რეპუტაციის დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

საბჭოს უნდა ჰქონდეს ბერკეტი, რომ ასეთი გამონათქვამები გაუგზავნოს ჟურნალისტური ეთიკისა თუ სხვა პროფესიული საქმიანობის კომიტეტებს, რათა მოხდეს ასეთ საკითხებზე რეაგირება, – განაცხადა ევა გოცირიძემ.

ესპანეთში ქურდობისა და ყაჩაღობის ბრალდებით საქართველოს 17 მოქალაქე დააკავეს

ესპანეთის პოლიციამ საქართველოს 17 მოქალაქე დააკავა. ამის შესახებ ინფორმაცია ესპანეთის ეროვნული პოლიციის ვებგვერდზეა გამოქვეყნებული. ესპანელი სამართალდამცველები ქართველებს ქურდობასა და ყაჩაღობას ედავებიან. არსებული ინფორმაციით, პოლიციამ ქართველები ესპანეთის სხვადასხვა ქალაქში დააკავა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, საქართველოს 17 მოქალაქე ესპანურმა პოლიციამ 3-4 თვის წინ ჩატარებული საპოლიციო ღონისძიების ფარგლებში დააკავა. შსს-ს ინფორმაციით, აღნიშნულ საპოლიციო ღონისძიებაში ესპანეთში საქართველოს ატაშეც აქტიურად იყო ჩართული.

კახა სოფრომაძის აზრით, მოსამართლეთა რაოდენობა უნდა გაიზარდოს

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრ კახა სოფრომაძის აზრით, მოსამართლეთა რაოდენობა უნდა გაიზარდოს.

როგორც სოფრომაძემ გუშინ პარლამენტში გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, 100-150 მოსამართლის დამატება საკმარისი იქნება იმისთვის, რომ გამართული სამართალწარმოება გახდეს შესაძლებელი. მან ამ მიმართულებით საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების საჭიროებაზეც ისაუბრა.

– მაგალითად, არიან სამართლის აღიარებული პროფესორები, დოქტორები, რომელთაც გამოცდაზე გაყვანა სირცხვილია და შეიძლება მათ ჰქონდეთ სურვილი, რომ გახდნენ მოსამართლეები. არიან ყოფილი პოლიტიკური თანამდებობის პირები, მაგალითად, იუსტიციის ყოფილი მინისტრი, მისი ყოფილი მოადგილე, რომელთა

გამოცდაზე გაყვანაც შეიძლება ავარიდოთ და ეს საკანონმდებლო გზით გადავწყვიტოთ. ამით საკონკურსო წრეს შეიძლება 50-60 კაცი დაემატოს. ამ შემთხვევაში უდიდესი წვლილი მიუძღვის იუსტიციის უმაღლეს სკოლასა და მის მიერ ახალი კადრების მომზადებას, – განაცხადა სოფრომაძემ.

სუს-ის უფროსი ევროპოლის დირექტორს შეხვდა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვახტანგ გომელაური საქართველოში ვიზიტად მყოფ ევროპოლის დირექტორ რობ უეინრაითს შეხვდა.

ევროპოლის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაა. შეხვედრაზე საუბარი ამ მიმართულებით ევროპოლსა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს შორის ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებს შეეხო. ვახტანგ გომელაურმა რობ უეინრაითს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული შედეგები გააცნო.

რობ უეინრაითის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, „საქართველოსა და ევროპის პოლიციის სამსახურს შორის ოპერატიული და სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმებას მოეწერა ხელი. შეთანხმებას საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერა შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა. შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ საქართველო გახდება ევროპოლის ოპერატიული პარტნიორი ქვეყანა, რაც საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს მისცემს შესაძლებლობას, ითანამშრომლონ ევროპოლთან როგორც ოპერატიული, ასევე არაოპერატიული მიმართულებებით, უსაფრთხო არხის მეშვეობით გაცვალონ ოპერატიული ინფორმაცია და პერსონალური მონაცემები, მონაწილეობა მიიღონ ევროპოლის ფარგლებში ორგანიზებულ ერთობლივ საგამოძიებო ჯგუფებში, ევროპოლისგან მიიღონ ანალიზზე დაფუძნებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

ევროპოლის საქმიანობა მიმართულია ისეთ დანაშაულებთან საბრძოლველად, რომლებიც გავლენას ახდენს ორ ან მეტ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოზე ან ევროპის კავშირის საერთო ინტერესებს აზიანებს.

სარფში არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები აღმოაჩინეს

საბაჟო გამშვებ პუნქტ „სარფში“ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა აზერბაიჯანის მოქალაქე მ.ნ-ის ეჭვის საფუძველზე ფიზიკური დათვალიერებისას არადეკლარირებული ოქროს საიუველირო ნაკეთობები (საერთო წონა 75,72 გრამი) აღმოაჩინეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, საქონლის საბაჟო ღირებულებამ 4339,51 ლარი შეადგინა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, მოქალაქეს სანქციის სახით ფულადი ჯარიმა 4339,51 ლარის ოდენობით შეეფარდა.

თურქეთში საქართველოს 25 წლის მოქალაქე მოკლეს

თურქეთში საქართველოს 25 წლის მოქალაქე მოკლეს. როგორც „ნიუპოსტს“ სანდო წყარომ აცნობა, თბილისში მცხოვრები მამაკაცის საქართველოში ჩამოსვენება დღეს იგეგმება. მას თურქეთში უკვე ჩაუტარდა ექსპერტიზა. საქმეზე დაწყებულია გამოძიება.

წინასწარი ინფორმაციით, საქმე ეხება ე.წ. ქუჩურ გარჩევას, რა დროსაც საქართველოს 25 წლის მოქალაქე ცივი იარაღით მოკლეს. იგი მუშაობის მიზნით თურქეთის ტერიტორიაზე 1 წლის განმავლობაში იმყოფებოდა. მას ცოლი და 3 თვის შვილი დარჩა.

„ნიუპოსტი“ დეტალების გარკვევას საგარეო საქმეთა სამინისტროში ცდილობს.

სასამართლომ ავარიაში მონაწილე მძღოლს, რომელსაც 6 ადამიანი ემსხვერპლა, 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

თელავის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მთვრალ მდგომარეობაში ჩადენილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევაში, რამაც ექვსი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, ტარიელ ჯამალაშვილი დამნაშავედ ცნო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პროკურატურიდან აცნობეს, სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2016 წლის 11 თებერვალს ბაკურციხიდან თბილისის მიმართულებით მოძრავ „ფორდ-ტრანზიტის“ მარკის ავტომობილს მთვრალ მდგომარეობაში მყოფი, მართვის უფლების არმქონე ტარიელ ჯამალაშვილი მართავდა, რა დროსაც საგარეჯოს რაიონის სოფელ ბადიაურის მიმდებარე ტერიტორიაზე ვერ უზრუნველყო ავტომობილის უსაფრთხო მართვა, გადავიდა საპირისპირო მოძრაობის ზოლში და „ოპელ-ვექტრას“ მარკის ავტომობილს შეეჯახა. შეჯახების შედეგად მიღებული დაზიანებებით „ოპელ-ვექტრას“ მარკის ავტომობილის მძღოლი, სამი მგზავრი და ავტომობილ „ფორდ-ტრანზიტის“ ორი მგზავრი ადგილზე დაიღუპნენ.

სამართალდამცველებმა ტარიელ ჯამალაშვილი სასამართლოს განჩინების საფუძველზე 2016 წლის 19 სექტემბერს დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-8 ნაწილით (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის წესის დარღვევა, რამაც ორი ან მეტი პირის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, ჩადენილი მთვრალ მდგომარეობაში) წარედგინა.

თელავის რაიონულმა სასამართლომ ტარიელ ჯამალაშვილი სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 9 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. მასვე ორი წლით ჩამოერთვა ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება.

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

პუტინი იმუქრება

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ დასავლეთმა მისი ქვეყნის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები უნდა გააუქმოს.

– დადგა სანქციების გაუქმების დრო. თქვენ რა, მათ გაგრძელებას უსასრულოდ ხომ არ აპირებთ? – აცხადებს პუტინი.

ვლადიმერ ვლადიმიროვიჩი ამბობს, რომ თუკი სანქციები გაგრძელდება, რუსეთი კონტრზომებს მიმართავს.

— თუკი სანქციების უსასრულოდ გაგრძელებას აპირებთ, იძულებულნი გავხდებით, ჩვენს ბაზარზე რიგი დასავლური პროდუქციის შემოტანა ავკრძალოთ. ამ პროდუქციის წარმოება ჩვენც შეგვიძლია, – თქვა პუტინმა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა უკრაინას მორიგი ტრანში გამოუყო

საერთაშორისო სავალუტო ფონდმა უკრაინისათვის მორიგი ტრანშის გამოყოფაზე თანხმობა განაცხადა. უკრაინელებს 1 მილიარდ დოლარს გადასცემენ.

– ჩვენ დიდად მადლობელნი ვართ, – განაცხადა პეტრო პოროშენკომ.

როგორც ცნობილია, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 2015 წელს მიიღო უკრაინის დაფინანსების პროგრამა, რომლის თანახმადაც 2015-19 წ.წ.-ში უკრაინას 17 მილიარდი დოლარი უნდა გადაეცეს. დღეისათვის უკრაინამ 6 მილიარდი უკვე მიიღო.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კანადაში ავტომობილების სასაფლაო მილიონ დოლარად იყიდება

კანადის პროვინცია ბრიტანეთის კოლუმბიაში, ქალაქ ტაპლენის მახლობლად გასაყიდადაა გამოტანილი ავტომობილების სასაფლაო, რომლის ფართობი ორ ჰექტარს შეადგენს.

340-ზე მეტ მანქანაში, მიწასა და მასზე განთავსებულ შენობაში 1,45 მილიონ კანადურ დოლარს (დაახლოებით მილიონი ამერიკული დოლარი) ითხოვენ. მყიდველი საკუთრებაში მიიღებს გარემონტებულ სახლს, 83 კვადრატული მეტრის ფართობის სარესტავრაციო საამქროს, 110 კვადრატული მეტრი ფართობის ანგარს და უამრავ სამშენებლო მასალას.

სასაფლაოზე არის როგორც ჩვეულებრივი, ისე საკმაოდ იშვიათი ავტომობილებიც. მათი ღირებულება 375-დან 26 ათას დოლარამდე მერყეობს.

– საუბარია შესაძლებლობაზე, მთელი ცხოვრება მიუძღვნათ იმ საქმეს, რომელიც მოგწონთ, ძველი მანქანების აღდგენას და ამავე დროს, ბრიტანული კოლუმბიის ერთ-ერთ უმშვენიერეს რაიონში იცხოვროთ, – ნათქვამია განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ ავტომობილების სასაფლაოს მფლობელმა მაიკ ჰოლმა მანქანების აწყობა ჯერ კიდევ 20 წლის ასაკში დაიწყო. ის მიწას იმიტომ ყიდის, რომ სამსახურის გამო ავტომობილების აღდგენას ვეღარ ასწრებს.

ამერიკელ მოსწავლეს გამოსაშვებ საღამოზე ბებიასთან ერთად მისვლა აუკრძალეს

ამერიკის ალაბამის შტატის ქალაქ იუფოლის სკოლის ადმინისტრაციამ ხანდაზმულ ადგილობრივ მცხოვრებ ქალბატონს თავისი შვილიშვილის გამოსაშვებ საღამოზე მისვლის უფლება არ მისცა.

ადგილობრივი ტრადიციის თანახმად, მოსწავლეს საზეიმო გამოსაშვებ საღამოზე ერთი ადამიანის მიყვანა შეუძლია და აქედან გამომდინარე, 18 წლის ბრაის მეინმა გადაწყვიტა, ბებია მიეყვანა. ეს გადაწყვეტილება მან იმით ახსნა, რომ თავის დროზე მის ბებიას მსგავსი მოვლენა არ ჰქონია და სურდა, ამით მისთვის საჩუქარი გაეკეთებინა.

სკოლის დირექტორმა სტივ ჰოუკინსმა ყმაწვილს ურჩია, საღამოზე ვინმე უფრო ახალგაზრდა მიეწვია და თავისი რჩევის გასამართლებლად სასწავლო დაწესებულების წესდება მოიშველია, რომელშიც ნათქვამია, რომ მსგავს ღონისძიებაზე დასწრება მხოლოდ მოსწავლეებსა და მათ იმ თანმხლებ პირებს შეუძლიათ, რომელთაც 20 წელი არ შესრულებიათ.

– ჩვენ ყოველ წელს გვიწევს, მოსწავლეებს უარი ვუთხრათ გამოსაშვებ საღამოზე მოზრდილი ადამიანების მიყვანაზე, – განაცხადა სასწავლო დაწესებულების დირექტორმა.

მოწყენილი 100 წლის პენსიონერი საკუთარ იუბილეზე დაასაქმეს

ყოფილმა დამსაქმებელმა პენსიაზე მყოფი უმუშევრობისგან მოწყენილი 100 წლის მამაკაცი ერთი დღით ადრინდელ თანამდებობაზე აღადგინა.

სამი წლის წინ ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატის მცხოვრები ბილ ჰანსენი წავიდა კომპანიიდან, რომელიც მილების გაყვანითა და გათბობა-კონდიცირების სისტემის დამონტაჟებითაა დაკავებული. პენსიაზე გასვლის შემდეგ ჰანსენი მიხვდა, რომ სახლში ჯდომას ვერ იტანდა. ის ოცნებობდა, კვლავ ეხილა თავისი სამუშაო ადგილი. ის 32 წლის მანძილზე კოორდინირებას უწევდა სამუშაო უფლებების მიღებას.

როდესაც ჰანსენს 100 წელი შეუსრულდა, კომპანიის ხელმძღვანელმა ფრედ ჰატჩინსონმა მას სურვილი აუსრულა. ღვაწლმოსილი პენსიონერი კომპანიაში მიიწვიეს. დირექტორმა მისთვის მთელი დღის დავალებების სია შეადგინა, ხოლო ყოფილმა კოლეგებმა იუბილარს დაბადების დღე მიულოცეს და ტორტი მიუტანეს. თავისი სამუშაოს სანაცვლოდ ჰანსენმა სიმბოლური ანაზღაურება 1 დოლარი მიიღო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბრიტანულ ოჯახს მე-20 ბავშვი შეემატება



ბრიტანეთის ქალაქ ჰეიშემში მცხოვრებმა წყვილმა სოციალური ქსელის ფეისბუქის დახმარებით გაავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მათ მე-20 ბავშვი შეეძინებათ. აღსანიშნავია, რომ ბრიტანულ მას მედიაში მათ ოჯახს „ქვეყანაში ყველაზე მრავალრიცხოვან ოჯახს“ უწოდებენ.

41 წლის სიუ და 46 წლის ნოელ რედფორდებმა გამოაქვეყნეს სურათი, რომელზე მათ თავიანთ ოჯახში ბიჭები და გოგონები ჩამოთვალეს, რის შემდეგაც განაცხადეს, რომ მომავალში მათ ოჯახს კიდევ ერთი ბავშვი შეემატება. სავარაუდოდ, ეს სექტემბერში მოხდება.

ჩანაწერმა, რომელიც რედფორდებმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნეს, 32 ათასზე მეტი მოწონება და მისალოცი კომენტარები მიიღო. სულ კი ოჯახური წყვილის გვერდს სოციალურ ქსელში 250 ათასამდე ხელმომწერი ჰყავს. მათ ასევე საკუთარი გვერდი აქვთ ინსტაგრამშიც, სადაც ხელმომწერების რაოდენობა 20 ათასს აჭარბებს.

აღსანიშნავია, რომ სიუ პირველად 14 წლის ასაკში დაფეხმძიმდა. მაშინ ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს, რომ ბავშვი დაეტოვებინათ, მათ იმით იხელმძღვანელეს, რომ თავად ისინი თავის დროზე გააშვილეს.

ამერიკელმა მომაკვდავი დათვის ბელი გადაარჩინა

ამერიკის ორეგონის შტატის ქალაქ სალემის მცხოვრებმა კორი ჰენკოკმა დაღუპვისგან იხსნა დათვის ბელი. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

მამაკაცმა შავი დათვის ნაშიერი იმ დროს შენიშნა, როდესაც ტყეში ფოტოსურათს იღებდა. პატარა ცხოველი ზურგზე იწვა, არ ინძრეოდა და თითქმის არ სუნთქავდა. ჰენკოკმა ის გარეული ცხოველებისთვის განკუთვნილ სარეაბილიტაციო ცენტრში მიიყვანა.

ცენტრის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დათვის ბელს გაუწყლოვანება ჰქონდა, სრულად გამოფიტული იყო და ლეთარგიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მისი თქმით, ჰენკოკის საქციელი გმირობის ტოლფასია.

სპეციალისტების შეფასებით, დათვის ბელი 3,5 თვისაა. სავარაუდოდ, დედა დათვი ჯერ არ გამოსულა ზამთრის ძილის მდგომარეობიდან.

ორეგონის შტატში გარეული ცხოველების მათი საბინადრო ადგილებიდან წამოყვანა აკრძალულია. პოლიციამ ჰენკოკი გააფრთხილა, რომ მსგავსი ქმედება ისჯება 6250 დოლარის ოდენობის ჯარიმით, ან ერთ წლამდე პატიმრობით, თუმცა ამ შემთხვევაში მისთვის ბრალი არ წაუყენებიათ.

სარეაბილიტაციო ცენტრში დათვის ბელის მდგომარეობა უმჯობესდება, თუმცა მისი სამომავლო ბედი ჯერ არ გადაუწყვეტიათ.

ქალმა თავის ბოიფრენდს საყვარელი სახლში მიუყვანა

ქალმა, რომელიც მძღოლად მუშაობს, უცნობი გოგონა აეროპორტიდან თავისი ბოიფრენდის სახლში მიიყვანა.

შავკანიანი ამერიკელი ქალის მეგობარი მამაკაცი, რომლის ვინაობა არ სახელდება, ნიუიორკში ავადმყოფი დედის მონახულებას აპირებდა. ბოიფრენდთან გამომშვიდობების მეორე დღეს, ქალის სამსახურმა მიიღო შეკვეთა და მან აეროპორტიდან წამოიყვანა უცნობი გოგონა. როდესაც ტაქსის მძღოლმა ის მითითებულ მისამართზე მიიყვანა, რომელიც მისი ბოიფრენდის მისამართს დაემთხვა, დაინახა, თუ როგორ გამოვიდა ის გოგონასთან შესახვედრად.

როდესაც მამაკაცი მიხვდა, თუ ვინ იჯდა მანქანის საჭესთან, შეეცადა სახლისთვის შეეფარებინა თავი, მაგრამ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალმა მისი ცემა მოასწრო. ტაქსისტმა ქალმა თან წაიღო თავის ბოიფრენდის საყვარლის ბარგი, მაგრამ მაშინვე დააბრუნა, როგორც კი გოგონამ პოლიცია გამოიძახა.

განცხადებები

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 280 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

მკურნალობა

● პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ სქესობრივ უძლურებას; სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, მამაკაცებში მკურნალობაში ვიყენებთ სათანადო აპარატურასა და სქესობრივი კავშირის დასამყარებელ საიმედო „ერექტორებს“. კონსულტაცია უფასოა. ტელ: 2 99 95 33; 593 60 60 44.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, ჟშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

დიბალა რეალსა და ბარსას თხოვნით მიმართავს

ტურინის იუვენტუსის თავდამსხმელი, პაულო დიბალა თავის ამჟამინდელ კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებას არ ჩქარობს, რადგან კლუბის შეცვლას არ გამორიცხავს.

ესპანური მედიის ინფორმაციის თანახმად, არგენტინის ნაკრების ფეხბურთელმა თავის აგენტს, პიერპაოლო ტრიულიცის სთხოვა, გადასცეს ბარსელონას და რეალს მისი სურვილი, რომ „ბებერ ქალბატონს“ კონკრეტული წინადადებით მიმართონ.

ესპანური გრანდები დიბალას გადაბირებით დაინტერესებულები არიან, რომლის ტრანსფერიც როგორც „სამეფო კლუბში“, ისევე „ლურჯ-ბროწეულისფერებშიც“ განიხილება. გარდა ამისა, დიბალა იუვენტუსს სთხოვს, რომ მასზე სატრანსფერო კომპენსაციის საბოლოო თანხა დააწესოს. დიბალას ამჟამინდელი ხელშეკრულება იტალიურ კლუბთან 2020 წლის ზაფხულამდეა ძალაში.

გარდა ესპანური კლუბებისა, დიბალას გადაბირებით მიუნხენის ბაიერნიც არის დაინტერესებული. „რეკორდმაისტერის“ აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე კარლ-ჰაინც რუმენიგე, იტალიურ მედიასთან მიცემულ ინტერვიუში დიბალას შესახებ საუბრობს.

ბავარიელთა ხელმძღვანელის განცხადებით, იგი ხსენებულ ფეხბურთელს სიამოვნებით იხილავდა მიუნხენელთა რიგებში, თუმცა ამაში ხელს არანორმალურად მაღალი სატრანსფერო ფასი უშლის.

ინფორმაციით, ფეხბურთელის სატრანსფერო ღირებულება ამ მომენტისათვის 50 მილიონ ევროს შეადგენს.

თუმცა, არის საუბრები იმაზეც, რომ დიბალას გადაბირების შანსი ყველაზე მეტად რეალს აქვს, რადგან „ბებერი ქალბატონის“ ხელმძღვანელობა კეილორ ნავასის დამატებით არის დაინტერესებული. იუვენტუსის ხელმძღვანელობა ჯანლუიჯი ბუფონის შემცვლელად სწორედ რეალის მეკარეს განიხილავს.

ჯერჯერობით არ ხმაურდება ფინანსური დეტალები და ასევე არ არსებობს ოფიციალური წინადადება, ვინაიდან იტალიური მხარე ფიქრის პროცესშია.

იმ შემთხვევაში, თუ ფლორენტინო პერესმა დავიდ დე ხეას დამატება შეძლო, ნავასის სერია ა-ში გადაბარგების შანსი ძალიან დიდი იქნება და არ არის გამორიცხული, ტრანსფერში დიბალას ვარიანტიც ჩართონ.

შეგახსენებთ, 23 წლის არგენტინელი ფეხბურთელი ტურინული კლუბის შემადგენლობაში 2015 წლიდან ირიცხება. არგენტინელმა შემტევმა, მიმდინარე სეზონში, იტალიური გრანდის მაისურით, ყველა ტურნირზე 33 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. გაიტანა 14 გოლი და განახორციელა 7 საგოლე პასი.

ლაშა ტალახაძე: „ასეთ ფორმაში აქამდე არ ვყოფილვარ“

ხორვატიის ქალაქ სპლიტში დაიწყო ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში. ფიცარნაგზე უკვე ვიხილეთ საქართველოს ნაკრების წევრი რამინ შამილიშვილი, რომელმაც მე-8 შედეგი აჩვენა.

ცხადია, ჩვენი მთავარი იმედი ტურნირზე მოქმედი ჩემპიონის რანგში ჩასული ლაშა ტალახაძეა. ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ჩინებულ ხასიათზეა და ჩემპიონი სპლიტიდან ჩემპიონის ტიტულით უნდა დაბრუნდეს.

– ლაშა, როგორ ფორმაში ხარ?

– ალბათ, ბოლო პერიოდში ერთ-ერთ საუკეთესო ფორმაში. ოლიმპიადის შემდეგ ისეთი საინტერესო ვარჯიშები გავიარეთ, რომ შემიძლია 100 პროცენტით ვთქვა, რომ მანამდე ასეთი დატვირთვით ჯერ არ მივარჯიშია. ჩემპიონატისთვის კარგ ფორმაში ვარ.

– რა მედალი მოგაქვს სპლიტიდან?

– მხოლოდ ოქროს მედალზე ვფიქრობ. ყოველთვის ასეა. ყოველთვის ასე იქნება. ჩემზეა დამოკიდებული, როგორ შევხვდები ტურნირს, როგორ ჩავერთვები ტურნირში. ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მაგრამ მინდა გავამართლო ჩემი გულშემატკივრების იმედები. ძალიან დიდი მადლობა ყველას, ვინც გვერდში მიდგას, ვინც ჩემიანია. თქვენთან ერთად ყველაფერი უფრო მშვიდად და მარტივად გამოდის. ჩემი წარმატებები თქვენი დამსახურებაც არის.

– როგორ ჩაიარა მოსამზადებელმა ეტაპმა?

– კარგად. არა მარტო ჩემთვის, მთელი ნაკრებისთვის. ჩვენი მთავარი მწვრთნელი გიორგი ასანიძე ძალიან საინტერესოდ გვავარჯიშებს. შეაქვს პროცესში მრავალფეროვნება, სირთულე. ეს აუცილებელია. ბოლო პერიოდში ეს ნაკრებში გამორჩეულად საინტერესო მოსამზადებელი ციკლი იყო. კმაყოფილი ვარ.

– ვის მიიჩნევ მთავარ კონკურენტებად?

– ალბათ, ისევ სომხებს და არ არის გამორიცხული, რუსი ძალოსნებიც კარგ ფორმაში იყვნენ. ირაკლის კარგი გაგებით არ ვთვლი კონკურენტად. ის ჩემი მეგობარია და მხოლოდ ამ კონტექსტში, ხვდებით ხომ? როგორც სპორტსმენი, იკა მედლისთვის იბრძოლებს. ის დიდი სპორტსმენი, ყველაზე სერიოზული კონკურენტია და ვეცდებით, ერთად მაქსიმუმი მოვუტანოთ საქართველოს.

მოურინიომ შვაინშტაიგერს ბოდიში მოუხადა

ლეგენდარული გერმანელი ნახევარმცველი ბასტიან შვაინშტაიგერი კარიერას ამერიკაში, კერძოდ კი, ჩიკაგო ფაირში განაგრძობს. შვაინშტაიგერს კლუბის დატოვება სათამაშო დროის არქონის გამო მოუწია, რაც მოურინიოს დამსახურებაა.

პორტუგალიელმა გერმანელი ფეხბურთელის ტრანსფერთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა და აღიარა, რომ მასთან მიმართებაში შეცდომა დაუშვა.



ჟოზე მოურინიო:

– ვწუხვარ იმის გამო, რაც სეზონის პირველ ნაწილში ბასტიან შვაინშტაიგერის თავს ხდებოდა. შვაინშტაიგერი ერთ-ერთია იმ ფეხბურთელთაგან, რომელსაც ბოდიში უნდა მოვუხადო. როცა ის უფრო ახლოს გავიცანი, როცა დავინახე, რომ ის პატივისცემით ეკიდებოდა ჩემს ყველა გადაწყვეტილებას, ვინანე კიდეც ჩემი საქციელი. მე არ ვიყავი მართალი და ამისი აღიარება არ მრცხვენია. უკანასკნელი, რაც მე ბასტიანს ვუთხარი, იყო ის, რომ მე თავიდან შევცდი მასთან მიმართებაში. ჰოდა, არ ღირდა მეორე შეცდომის დაშვება. როდესაც მან მკითხა, რას ვფიქრობდი მის წასვლაზე და მივცემდი თუ არა ნებას, მე დავთანხმდი. არ შემეძლო უარი მეთქვა მისთვის წასვლაზე, თუმცა სეზონი გრძელია და ის ჩვენც დაგვჭირდებოდა.

ლივერპული თვითმფრინავს იყიდის

საფეხბურთო კლუბ ლივერპულის მფლობელებმა გადაწყვიტეს შეიძინონ პირადი თვითმფრინავი, რომელსაც მსოფლიო ტურნირების, ჩემპიონთა ლიგისა და სხვა საგანგებო ავიარეისების დროს გამოიყენებენ.

ინფორმაციის თანახმად, გუნდის მფლობელი ჯონ ჰენრი შეშფოთებულია იმით, რომ ყოველთვის თვითმფრინავის დაქირავება უწევს, სანაკრებო პაუზის დროს ფილიპე კოუტინიოსა და რობერტო ფირმინოს დასაბრუნებლად. ამას გარდა, სადიო მანეს სიტუაციაზეც ხშირად იგივე მეორდება და სენეგალიდან დაქირავებული თვითმფრინავით ბრუნდება მერსისაიდში.

ეს გადაწყვეტილება გუნდმა ხარჯების შემცირების მიზნით მიიღო. თვითმფრინავი იქნება 30-50 ეკიპაჟიანი და მას გუნდი საგანგებო რეისებისთვის და ჩემპიონთა ლიგის მატჩებისთვისაც გამოიყენებს.

ინგლისურ გუნდში თვითმფრინავის რამდენიმე მოდელს განიხილავენ. ლივერპულს ფრენის განხორციელება საკუთარი ქალაქიდან, ჯონ ლენონის სახელობის აეროპორტიდან შეეძლება.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

3 Ა�პᲠᲘᲚᲘ

ფეხბურთი

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

სელტა-ლას პალმასი 3:1

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.რეალი	28	21	5	2	74-28	68
2.ბარსელონა	29	20	6	3	85-26	66
3.ატლეტიკო	29	17	7	5	54-23	58
4.სევილია	29	17	7	5	52-34	58
5.სოსიედადი	29	15	4	10	43-40	49
6.ვილიარეალი	29	13	9	7	41-23	48
7.ბილბაო	29	14	5	10	37-33	47
8.ეიბარი	29	12	8	9	47-41	44
9.ესპანიოლი	29	11	10	8	42-40	43
10.სელტა	28	12	5	11	43-46	41
11.ალავესი	29	10	10	9	29-36	40
12.ლას პალმასი	29	9	8	12	45-48	35
13.ვალენსია	29	9	6	14	41-51	33
14.ბეტისი	29	8	7	14	32-46	31
15.მალაგა	29	6	9	14	33-47	27
16.დეპორტივო	29	6	9	14	31-46	27
17.ლეგანესი	29	6	9	14	23-42	27
18.ხიხონი	29	5	7	17	31-57	22
19.გრანადა	29	4	7	18	26-62	19
20.ოსასუნა	29	1	8	20	29-69	11

ᲔᲡᲪᲐᲜᲔᲗᲘ. ᲡᲔᲒᲣᲜᲓᲐ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

სევილია ბ-ნუმანსია 1:1

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ Ა

ინტერი-სამპდორია 1:2

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ:

1.იუვენტუსი	30	24	2	4	60-20	74
2.რომა	30	22	2	6	66-26	68
3.ნაპოლი	30	19	7	4	69-33	64
4.ლაციო	30	18	6	6	52-31	60
5.ატალანტა	30	18	4	8	51-33	58
6.ინტერი	30	17	4	9	56-33	55
7.მილანი	30	16	6	8	43-33	54
8.ფიორენტინა	30	14	9	7	47-37	51
9.სამპდორია	30	12	8	10	37-35	44
10.ტორინო	30	10	11	9	56-50	41
11.კიევო	30	11	5	14	35-43	38
12.უდინეზე	30	10	7	13	38-40	37
13.კალიარი	30	10	5	15	39-59	35
14.ბოლონია	30	9	7	14	29-43	34
15.სასუოლო	30	9	4	17	37-48	31
16.ჯენოა	30	7	8	15	30-48	29
17.ემპოლი	30	5	7	18	17-48	22
18.კროტონე	30	4	5	21	23-50	17
19.პალერმო	30	3	6	21	25-63	15
20.პესკარა	30	2	7	21	30-67	13

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲡᲔᲠᲘᲐ Ბ

ფროზინონე-აველინო 1:1

ᲡᲐᲤᲘᲰᲐᲜᲒᲔᲗᲘ. ᲛᲔ-2 ᲚᲘ�გᲐ

სტრასბური-სოშო 2:0

ᲩᲔᲮᲔᲗᲘ. ᲞᲘᲠᲛᲘᲠᲘᲚᲘᲗᲐ

როსტოვი-კრასნოდარი 0:0

სპარტაკი-ორენბურგი 3:2

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ. ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘ�გᲐ

გალათასარაი-ადანა 4:0

ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲐ. ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲛᲐᲓᲣᲠᲐ

რუხი-პიასტი 0:0

ᲓᲐᲜᲘᲐ. ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘᲗᲐ

სონდერიისკე-კოპენჰაგენი 1:2

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ. ᲐᲡᲢᲕᲔᲜᲡᲯᲐ

კალმარი-ელფსბორგი 1:5

იორებრო-სედრა 2:1

დიურგარდენი-სირიუსი 0:2

ᲜᲝᲩᲕᲔᲗᲘ. ᲔᲠᲘᲢᲡᲔᲠᲘᲐ

ვალერენგა-ვიკინგი 1:0

მსუქანი ტაქსა ღობეში გაიჭედა

შოტლანდიის ქალაქ გლაზგოში მეხანძრეებმა მსუქანი ტაქსა გადაარჩინეს, რომელიც ღობეში გაიჭედა.

ძაღლი, სახელად მაილო, ეზოში სეირნობდა პატრონის მოლოდინში. როდესაც ის მასთან გავიდა, აღმოაჩინა, რომ ძაღლი შეეცადა ღობეში გამძვრალიყო და გისოსებში გაიჭედა. ცხოველის თავი და წინა თათები ქუჩაში აღმოჩნდა, ხოლო უკანა თათები და კუდი ეზოში.

ქალი შეეცადა თავისი საყვარელი ცხოველი გაეთავისუფლებინა, მაგრამ ეს არც ისე იოლად მოსაგვარებელი აღმოჩნდა. ნახევარი საათის წვალების შემდეგ ის იძულებული გახდა, დასახმარებლად მაშველები გამოეძახებინა. მათ მოახერხეს მაილო ისე გაეთავისუფლებინათ, რომ ღობე არ დაემტვრიათ. როგორც გაირკვა, ამისთვის უბრალოდ ძაღლი გვერდზე უნდა გადაებრუნებინათ.

– როგორც ჩანს, მაილომ საკუთარი აღნაგობა სათანადოდ ვერ შეაფასა. ის ისეთი აღნაგობის აღარ არის, როგორიც ახალგაზრდობაში იყო, – განაცხადა ძაღლის პატრონმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲯᲐᲜᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

რა არის კრუპი

ეკა ირემაშვილი

კრუპი ეს არის ზედა სასუნთქი გზების – ხორხის, ტრაქეის ანთება, რომელსაც ახასიათებს სპეციფიკური ხველა ე.წ. „მყეფავი ხველა“, ხველა „ჩახლეჩილი ხმით“, რომელიც იწყება უეცრად და უპირატესად ღამით.

რა არის კრუპი, რა იწვევს მას და როგორ დავეხმაროთ ბავშვს სახლის პირობებში, თუ მას კრუპის შეტევა განუვითარდა, ამ თემებზე პედიატრი ნია მასიუკოვიჩი საუბრობს.

ნია მასიუკოვიჩი:

– კრუპი ეს არის ზედა სასუნთქი გზების – ხორხის, ტრაქეის ანთება, რომელიც ხასიათდება სპეციფიკური ხველით – ე.წ. „მყეფავი ხველა“, ხველა „ჩახლეჩილი ხმით“, რომელიც იწყება უეცრად და უპირატესად ღამით.

– რა იწვევს კრუპს?

– კრუპის გამომწვევი მიზეზი უმეტესად ვირუსებია – პარაინფლუენზა, ადენოვირუსი, რესპირაციულ-სინციტიური ვირუსი. ხშირია 1-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვებში, თუმცა შეიძლება უფრო დიდ ასაკშიც განვითარდეს. შეტევა ვითარდება უმეტესწილად ღამით და ახასიათებს რეციდივი.

ყველა ბავშვს როდი უვითარდება კრუპი, ვისაც ზემოაღნიშნულ ვირუსებთან აქვთ შეხება?! უმეტესად ეს ვირუსები სასუნთქი გზების ინფექციის სიმპტომატიკით მიმდინარეობს. კრუპი ძირითადად სასუნთქი გზების ინფექციებით ხშირად მოავადე, ალერგიული განწყობის მქონე ან ასთმით დაავადებული ბავშვების ხვედრია. მსოფლიოს სტატისტიკაზე დაყრდნობით, კრუპი უფრო ხშირია ნაადრევად დაბადებულ ბავშვებში.

– წელიწადის რა პერიოდში ვითარდება კრუპი?

– კრუპის ეპიზოდები ხშირია შემოდგომის მიწურულსა და ზამთრის დასაწყისში, ანუ წელიწადის ცივ დროს.

– როგორ გამოვიცნოთ კრუპი?

– კრუპი უმეტესწილად ვითარდება ღამით, უეცრად, არ ახლავს ცხელება. წინასწარ კრუპის პროგნოზირება ძალიან რთულია, თუმცა, არსებობს შემთხვევებიც, როდესაც კრუპს წინ უძღვის ზედა სასუნთქი გზების ვირუსული ინფექციის კლინიკური ნიშნები: გამონადენი ცხვირიდან, ცხვირით სუნთქვის გაძნელება, ტემპერატურა, ერთიული ხველა. აღნიშნულს თან სდევს ზედა სასუნთქი გზების ლორწოვანის თანდათანობით შეშუპება, ჩასუნთქვის გაძნელება, ხმაურიანი სუნთქვა, რომელიც შესაძლოა ისმოდეს დისტანციაზეც.

– რა ნიშნები ახასიათებს კრუპს?

– კრუპის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნებია უეცარი დასაწყისი ღამით, შეტევითი, სპაზმური ხასიათის ხველა შეცვლილი ხმით – „მყეფავი ხასიათის ხველა“, ინსპირაციის, ანუ ჩასუნთქვის გაძნელება, სუნთქვის გახშირება, ზედაპირული სუნთქვა, ხმაურიანი სუნთქვა, რომელიც დედამ შესაძლოა მეორე ოთახში გაიგონოს, ციანოზი – ცხვირ-ტუჩის მიდამოს ციანოზი, რომელიც ვლინდება და ძლიერდება ტირილის დროს. ბავშვები, რომელთაც ლაპარაკი შეუძლიათ, აღნიშნავენ „მოგუდვის“, „მოხრჩობის“ შეგრძნების არსებობას.

კრუპის შეტევის დროს ბავშვი შეშინებულია და ტირის, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს და ამწვავებს მდგომარეობას.

პირველი, რაც ასეთ დროს დედამ უნდა გააკეთოს, შეინარჩუნოს სიმშვიდე, რათა საკუთარი ნერვიულობა და ემოცია ბავშვს არ გადასდოს.

ჩაეხუტეთ პატარას, აგრძნობინეთ, რომ ხართ მის გვერდით, დაამშვიდეთ.

გამოიძახეთ სასწრაფო დახმარების ბრიგადა. ექიმის მოსვლამდე, მშობლების სწორი და ორგანიზებული მოქმედება მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებს შეშინებულ პატარას მდგომარეობას: მოუშვით ცხელი წყალი და ბავშვთან ერთად დაჯექით ცხელი წყლის ორთქლით სავსე სააბაზანოში 7-10 წუთით, ამასობაში ექიმიც თქვენს გვერდით იქნება!

თუ გარეთ ძალიან არ ცივა და არ ყინავს, ბავშვის ჰაერზე გაყვანაც ეფექტურია, თუმცა, მედიკოსები და მათი პაციენტები უპირატესობას მაინც ორთქლის ინჰალაციას ანიჭებენ. ინჰალაციის დროს ხდება ზედა სასუნთქი გზების სწრაფი დატენიანება, რაც ამსუბუქებს ხველის სიხშირესა და სიმწვავეს.

ზემოაღნიშნულის შემდეგ, მიეცით ბავშვს თბილი სითხე – ჩაი, წვენი, მინერალური წყალი ყლუპებად.

ბრიტანეთის საავადმყოფოდან „ბოტოქსის ბანდიტი“ გაიქცა

დიდი ბრიტანეთის ქალაქ ეშფორდის სამედიცინო დაწესებულებიდან გაიქცა ქალი, რომელსაც არ სურდა მისთვის ჩატარებული პროცედურებისთვის ფული გადაეხადა.

როგორც საავადმყოფოს ექიმმა მაიკლ შეილმა განაცხადა, მან გოგონას კანქვეშ ბოტოქსი შეუყვანა და ფილერის დახმარებით ზედა ტუჩი გაუდიდა. პროცედურის მიმდინარეობისას პაციენტმა განაცხადა, რომ თავს შეუძლოდ გრძნობდა. როდესაც ექიმი გავიდა, რათა მისთვის ჭიქით წყალი მიეტანა, გოგონა გაიქცა და კოსმეტიკური პროცედურისთვის გადასახდელი 500 ფუნტი არ გადაიხადა.

– მას ქირურგიული პერანგი ეცვა, მასზე სისხლის ლაქებით, ასევე ეკეთა ყინულის კომპრესი, სახეზე ანესთეზიური საცხი წასმული და ტუჩები დასიებული. მას ჯერ კიდევ საშინელი შესახედაობა ჰქონდა. ის ქუჩაში მირბოდა, მე კი გაოგნებული ვუყურებდი, – განაცხადა ექიმმა.

შეილის თქმით, გოგონა მასთან პირველად იყო, საავადმყოფოში მას სახელით არ იცნობდნენ და, უბრალოდ, „ბოტოქსის ბანდიტად“ მოიხსენიებდნენ. ექიმმა ასევე განაცხადა, რომ მას ლონდონის სხვა საავადმყოფოებში მსგავსი შემთხვევების თაობაზე სმენია, მაგრამ ის, რომ მასაც შეემთხვეოდა, არ უფიქრია.

საავადმყოფოში გადაწყვიტეს, პოლიციისთვის არ მიემართათ. ამის მაგივრად გოგონას სახის ნაწილის ფოტოსურათი გამოაქვეყნეს, რომელიც კოსმეტიკური პროცედურის დროს იქნა გადაღებული, იმის იმედით, რომ მისი იდენტიფიცირება შესაძლებელი გახდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საუკეთესო ტრადიციული ეფექტური სამკურნალო საშუალება მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკეთესო საუკუნოვანი გამოცდილების მქონე ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ - დილას და საღამოს.

☎ 599-73-48-21.

ძაღლმა პატრონი ჟურნალისტების თვალწინ დაგლიჯა

სტაფორდშირის ტერიერის ჯიშის ძაღლმა საკუთარი პატრონი ბი-ბი-სის გადამღები ჯგუფის თვალწინ დაგლიჯა. ერთი წლის წინ კი მანვე პატრონი სიკვდილისგან იხსნა.

41 წლის ლონდონელი მარიო პერივოიტოსას მეზობლებმა განაცხადეს, რომ გასულ წელს მამაკაცს ეპილეფსიური შეტევა დაემართა და მაშინ ტერიერმა სახელად მეიჯორმა პატრონს რამდენჯერმე მსუბუქად უკბინა, რათა გონებაზე მოეყვანა და მათი აზრით, მაშინ მამაკაცი სწორედ ამან გადაარჩინა.

მეზობლების თქმით, პერივოიტოსი არასოდეს იშორებდა გვერდიდან თავის შინაურ ცხოველს, რომელიც თავის მხრივ ყოველთვის მშვიდად იქცეოდა. ამასთან ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ დაღუპული ჭკვიანი ადამიანი იყო, ორი უმაღლესი სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ ამავე დროს ნარკომანობისგან იტანჯებოდა.

მამაკაცს არასოდეს უმუშავია, მოიხმარდა ჰეროინსა და მეტამფეტამინს. ხშირად მოჰყავდა ბინაში უცხო პირები, რომლებიც მეზობლებს ხმაურით აწუხებდნენ. მიმდინარე წლის თებერვალში სასამართლომ მას სტუმრების მიღება აუკრძალა.

რამდენიმე დღის წინ პერივოიტოსასთან ბი-ბი-სის თანამშრომლები მივიდნენ, რომლებიც დოკუმენტურ ფილმს იღებენ ნარკომანიასა და ანტისოციალურ ქცევაზე. როდესაც ისინი მამაკაცს ესაუბრებოდნენ, მოულოდნელად მას მეიჯორი თავს დაესხა. დაშავებული საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, მაგრამ ორ საათში ის გარდაიცვალა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ასტროპროგნოზი

5 აპრილისათვის

ვერძი – კეთილისმყოფელი დღეა კომერციული საქმიანობისათვის. საპირისპირო სქესთან ურთიერთობისას მეტი თავშეკავება გმართებთ. ** კურო** – შემოქმედებითი აქტიურობა გაამართლებს. ემოციებს არ აჰყვეთ. **ტყუპები** – ახალი იდეების განხორციელება სასიკეთო შედეგს გამოიღებს. ძველი პრობლემების მოგვარებასაც ნუ გადადებთ. **კირჩხიბი** – მივლინებაში, სამოგზაუროდ წასვლა სასურველი არ არის. გარშემომყოფები თქვენ მიმართ სითბოს ავლენენ. **ლომი** – ტრავმების მიღების ალბათობა დიდია. ჯანმრთელობას მაქსიმალურად გაუფრთხილდით. იზრდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გამწვავების რისკი. **ქალწული** – ახლობლებთან ურთიერთობა გეძაბებათ. გამორიცხული არ არის მწვავე კონფლიქტი. **სასწორი** – ყურადღებით იყავით და იოლად არავის მიენდოთ. ცრუ დაპირებების გაცემა არ არის საჭირო. **ღრიანკალი** – ეცადეთ, ადრინდელი უარყოფითი ემოციებისაგან მალე გათავისუფლდეთ. ახალი ნაცნობობა სასიკეთო იქნება. **მშვილდოსანი** – შემოქმედებით სფეროში ბედი გწყალობთ. კონფლიქტური ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. **თხის რქა** – ზედმეტად ნუ დაიტვირთებით. მსუბუქი საქმე აკეთეთ. იკვებეთ ჯანსაღად. **მერწყული** – სუფთა ჰაერზე ხანგრძლივი სეირნობა ფსიქოემოციურ მდგომარეობას საგრძნობლად გამოგიკეთებთ. არ დაივიწყოთ ახლო მეგობრები. **თევზები** – ვნებები მოთოკეთ. დაუფიქრებლობა და სპონტანურობა გავნებთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. უვიცი, უცოდინარი რაიმე საქმეში; 2. ვირტუოზი არგენტინელი ფეხბურთელი; 3. მხარე ავსტრიაში; 4. მდინარე გურიაში; 5. ნადირისაგან დამცავი ძაღლის ეკლიანი ყელსაბამი; 8. მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების განადგურება რასობრივი ან ეროვნული ნიშნით; 12. ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტი; 13. გარემოსა და ცოცხალი ორგანიზმების ურთიერთდამოკიდებულების შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 14. ჯაზის იმპროვიზაციული სტილი; 16. მინერალური წყალი ჯავის რაიონში; 18. აღმოსავლური ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 20. ძვირფასი ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი.

თარაზულად: 6. მუსიკალური ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 7. კოსმოდრომი იაპონიაში; 8. საეკლესიო გალობათა და ლოცვათა კრებული; 9. პირველი გერმანული ოპერა; 10. მოსავლის ამღები სასოფლო-სამეურნეო მანქანა; 11. „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურად მთარგმნელი; 15. ფასიანი ქაღალდი; 17. უდაბნო აფრიკაში; 19. შეიარაღებული მძარცველი, ბანდიტი; 21. ზღვისპირა კურორტი გულრიფშის რაიონში; 22. ლიმონათის, ხილის წვენების გაჯერება-გაზავება ნახშირმჟავა აირით; 23. თეთრი მელას ძველი სახელწოდება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოჰდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. „რუზინე“; 5. საკურა; 3. ენოლოგია; 4. ალკალა; 6. თიკანაძე; 8. „ოდისეა“; 11. საგურამო; 12. სატურნი; 16. ტაიგა; 17. ბლიცი; 18. „ბრერა“.

თარაზულად: 1. რაფსოდი; 5. თართი; 7. „ენისელი“; 9. აბსურდი; 10. ბავარია; 13. ერლიფტი; 14. ლაღიძე; 15. ბანი; 19. დუმფარა; 20. კლაკიორი; 21. ქაფიანიძე; 22. ჯოყოლა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. „მაესტრო“; 2. ჰიპოთეზა; 3. საფარა; 4. ტუსკი; 5. ქოლერიკი; 8. სავოიარი; 12. დანი; 13. ჰონოლულუ; 14. ისრიმი; 16. მარიჯანი; 18. დოსიე; 20. ოსლო.

თარაზულად: 6. მარიფათი; 7. წყალტუბო; 8. „სუდოკუ“; 9. „სტელა“; 10. მეცენატი; 11. შვიდეული; 15. ზომერჰოისი; 17. აილამა; 19. მონოციკლი; 21. მურმანი; 22. ბუდაპეშტი; 23. „როლექსი“.

აჩიკო ნიჟარაძე: „გაამკაცრეთ კანონები!“

მომღერალი აჩიკო ნიჟარაძე ნორმალურ ქვეყანაში ცხოვრებისთვის კანონების გამკაცრებას ითხოვს და იმ მთავარ პრობლემებს ასახელებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანას რეალურ საფრთხეს უქმნის:

– აუცილებლად უნდა გამკაცრდეს კანონი.

ქუჩაში ნაგვის დაყრაზე – სადაც ცხოვრობ, უბრალოდ, იქ საღორე არ უნდა მოაწყო.

მთვრალ მდგომარეობაში მანქანის მართვაზე – უკვე მერამდენე ადამიანი უნდა შეიწირონ, უნდა აეკრძალოს მთელი ცხოვრება მართვის მოწმობის აღება, სხვისი მანქანის მართვის შემთხვევაში, დაკავებისას კანონით უნდა ჩამოერთვას მანქანა, ასევე უნდა აეკრძალოს სამომავლოდ მანქანის შეძენა და თავის სახელზე გაფორმება. ამის მერე ვეღარ გაბედავენ მთვრალი მანქანაზე დაჯდომას.

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სიგარეტის მოწევაზე – დროა, ვიზრუნოთ ყველამ ერთად ჩვენს საკუთარ ბავშვებზე და იმ ადამიანებზე, რომლებსაც ამდენი წლის განმავლობაში ვაწუხებდით და არც გვაინტერესებდა.

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში აღკოჰოლური სასმელის მიღებაზე – თუ ევროპის ქვეყნების კავშირის წევრობაზე გვაქვს პრეტენზია, ქუჩაში დალევა, ღრიალი და გინება უკვე აღარ უნდა გვაინტერესებდეს.

აფთიაქებში ურეცეპტოდ წამლების გაცემაზე – იღუპება ბავშვების დიდი ნაწილი. დააკავეთ ყველა, ვინც ოფიციალურად ბარიგობს და სპობს ჩვენს მომავალს. სხვა რა უნდა დავარქვათ, თუ არა ოფიციალური ბარიგა. თუ სხვა სახელი ჰქვია, თქვენ დაარქვით.

საცხოვრებელ კორპუსებში ბორდელების გახსნაზე – დააჯარიმეთ ადამიანები, რომლებიც საკუთარ ბინას აქირავებენ ბორდელებზე. წალეკა ბორდელებმა თბილისი. ამდენი საგანმანათლებლო ცენტრი, უნივერსიტეტების ფილიალი და ბიბლიოთეკა არ არის ერთად აღებული ქალაქში, რამდენიც ბორდელია.

დაჯარიმდეს ყველა ფეხით მოსიარულე ქუჩაზე ფეხით გადასვლის გამო, სადაც არ შეიძლება გადასვლა ან მიწისქვეშა გადასასვლელია. საფრთხეს უქმნიან სხვასაც და თავის თავსაც.

შემსუბუქდეს კანონი ნარკოტიკის მომხმარებლებზე და სახელმწიფომ შეიმუშაოს გეგმა, იქნებ როგორმე დავეხმაროთ ამ ადამიანებს, რომ გადარჩნენ და არ დაიხოცონ, გამკაცრდეს კანონი ბარიგობასთან დაკავშირებით.

თუ გვინდა, რომ ნორმალურ ქვეყანაში ვიცხოვროთ, ეს რაღაცები უნდა შევცვალოთ. ამის გარდა, რა თქმა უნდა, უამრავი რაღაც არის კიდევ შესაცვლელი, უბრალოდ, ცოტა რომ გაუჩნდეთ სურვილი ადამიანებს ამ ქვეყანაში ჩამოსვლის ან მოგზაურობის, ეს ყველაფერი უნდა დალაგდეს.

მერაბ ბერძენიშვილის მონუმენტს „კიდევაც დაიზრდებიან“ კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა

ცნობილი ქართველი მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის მონუმენტს „კიდევაც დაიზრდებიან“ კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელ ნიკოლოზ ანთიძის ბრძანება ამ საკითხთან დაკავშირებით საკანონმდებლო მაცნეში უკვე გამოქვეყნდა.

მონუმენტი „კიდევაც დაიზრდებიან“ მერაბ ბერძენიშვილმა 42 წლის წინ ბრინჯაოში ჩამოასხა და ის მარნეული-თბილისის საავტომობილო მაგისტრალთან დგას. ამ ნამუშევრისთვის მოქანდაკემ სახელმწიფო პრემია მიიღო.

„ცეკვავენ ვარსკვლავებში“ ჯასპერ ბლექი იცეკვებს

ჯასპერ ბლექი მას შემდეგ გახდა პოპულარული, რაც მე-6 მილიონი ტურისტი აღმოჩნდა საქართველოში და მას მეგზურობა პირადად საქართველოს პრემიერ- მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა გაუწია.

ინტერნეტში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჰოლანდიელი ტურისტი ჯასპერ ბლექი საქართველოში ისევ დაბრუნდება და „ცეკვავენ ვარსკვლავების“ მეშვიდე სეზონში მიიღებს მონაწილეობას.

– ასეთი რამ მხოლოდ ტელევიზორში ხდება. ხომ ასეა? კიდევ ერთხელ დაფიქრდით. ეს მე გადამხდა. მუდამ მადლობელი ვიქნები გასაოცარი ქვეყნის, საქართველოსი, მისი შესანიშნავი, თბილი ადამიანების, მისი ულამაზესი ბუნებისა და არაჩვეულებრივი საჭმლის. მიყვარხარ, საქართველო. დიდი მადლობა.

პ.ს. ვეძებ ბილეთს მხოლოდ ერთი მიმართულებით თბილისში, – დაწერა სოციალურ ქსელში ჯასპერმა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

მიშა სულუხიას დედა გარდაეცვალა

მომღერალ მიშა სულუხიას დედა გარდაეცვალა. მსახიობი მაია მილორავა თურქეთში იმყოფებოდა, სადაც თავის ტვინის სიმსივნეზე მკურნალობდა. თურქმა ექიმებმა მას ურთულესი ოპერაცია გაუკეთეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს.

დედის ჯანმრთელობის გაუარესების გამო მიშამ შვეიცარიაში სწავლას თავი დაანება და საქართველოში დაბრუნდა. ქიმიოთერაპიითა თუ ოპერაციებით მკურნალობამ შედეგი ვერ გამოიღო და მისი დედა თურქეთში გარდაიცვალა. სამწუხარო ინფორმაცია მიშა სულუხიამ სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა:

– ჩემი მეოცნებე, ლაღი და თბილი დედიკო. ხალხო, როგორ მტკივა. დეე, მაპატე, ამჯერად ვერ გიშველე.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ფლორიდის მაღაზიაში ალიგატორი გაასეირნეს

ამერიკის ფლორიდას შტატში სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა ცოცხალი ალიგატორი ერთ-ერთი ადგილობრივი ავეჯის მაღაზიის იატაკზე გაათრიეს.

მომხდარის ვიდეოჩანაწერი ფოქს 13 ნიუსმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა. ერთ დღე-ღამეში ვიდეორგოლი 330 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რეპტილია ავტოსადგომზე აღმოაჩინეს და პოლიციელებმა იმისთვის, რომ გზა შეემოკლებინათ, გადაწყვიტეს ის მაღაზიის გავლით მისი სათადარიგო გასასვლელით, რომელიც ტამპას ყურესთან გადიოდა, წყლამდე მიეყვანათ, რაც განახორციელეს კიდეც.

სამგლოვიარო განცხადებები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის თეორიული ეკონომიკის კათედრა თანაუგრძნობს კათედრის პროფესორ თეიმურაზ ბერიძეს მამის

არჩილ ბერიძის

გარდაცვალების გამო.

ცნობილ მწერალს მირონ ხერგიანს გარდაეცვალა შვილი

გიგი ხერგიანი

გამოსვენება: ხუთშაბათს, 6 აპრილს, 14 საათზე, ასათიანზე (ყოფილი ფსიქიატრიულის ეზო) მდებარე ეკლესიიდან.

მეგობრები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახური მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის №10 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

ანრი ესართია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

აფხაზეთის №10 საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის №10 საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

ანრი ესართია

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ორი წლის ავსტრალიელ გოგონას სურათი დიდ გველთან ერთად გადაუღეს

ავსტრალიის ვიქტორიას შტატში ქალმა თავის ორი წლის გოგონას სურათი იმ დროს გადაუღო, როდესაც დაინახა, რომ მისგან ორ მეტრში დიდი გველი მისრიალებდა.

ბიანკა დიკენსონმა შენიშნა, რომ მისი გოგონას მოლის მახლობლად, რომელიც სურათის გადასაღებად პოზირებდა, ყავისფერი გველი იმყოფებოდა. თავდაპირველად ქალმა ქვეწარმავალი, რომელიც მდელოზე მისრიალებდა, ვერ შენიშნა. შხამიანი ცხოველის დანახვისთანავე ქალი ადგილზე გაშეშდა, რათა მისი ყურადღება ბავშვისკენ არ მიეპყრო, რომელიც ასევე გაუნძრევლად იდგა სურათის გადაღების მოლოდინში.

როდესაც გველი თვალს მიეფარა, დიკენსონმა მოლი იმ ადგილს მოაშორა. როდესაც ის გოგონასთვის გადაღებულ სურათებს ათვალიერებდა, აღმოაჩინა, რომ რეპტილია მისი შვილის მახლობლად იმყოფებოდა.

– ამ კადრმა ჯერ კიდევ ლამის გულის შეტევა დამმართოს, – განაცხადა ბავშვის დედამ.

ჩინელმა მძინარე კენგურუებს ქვები დაუშინა

ჩინეთის იანჩჟოუს ოლქში მდებარე ზოოპარკში ერთ-ერთმა დამთვალიერებელმა მძინარე კენგურუებს რამდენიმე ქვა ესროლა, რათა შემდეგ ისინი სურათზე ნახტომის გაკეთების მომენტში აღებეჭდა.

ზოოპარკის სხვა დამთვალიერებლები შეეცადნენ, მამაკაცი, რომლის სახელი უცნობია, შეეჩერებინათ, მაგრამ მან უარი თქვა ელიარებინა, რომ მისი ქცევა სასტიკი მოპყრობა იყო ცხოველებთან მიმართებაში. მას შემდეგ, როდესაც შემთხვევის თვითმხილველების მიერ გადაღებული კადრები ინტერნეტში მოხვდა, მამაკაცს სოციალური ქსელების მომხმარებლების, მას მედიისა და ცხოველთა დაცვის ორგანიზაციის თანამშრომლების ნეგატიური კომენტარების ნიაღვარი დაატყდა თავს.

ფოტოსურათები ჩინეთის ზოოპარკების ასოციაციას გადაეგზავნა, რათა მათ მომხდარზე რეაგირება მოეხდინათ. ჩინელი მამაკაცის ქმედებამ მიაყენა თუ არა რაიმე სახის დაზიანებები ცხოველებს, უცნობია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

პროგრამა

ოთხშაბათი 5 აპრილი

07.00 დოკ/ფ "ჯეიმის ამერიკული საგზაო თავგადასავალი" **08.00** კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "ფერმა" **14.30** "დღე მუზეუმში" **15.00, 02.30** "C სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00, 03.30** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** მხ/ფ "**ჩასაფრებული ვეფხვი**" **უჩინარი დრაკონი**" **01.00** მხ/ფ "**მტირალა ბავშვი**" (მ.ჰემინგუეი)

08.00 დ/ფ "ბერლინი **1885** წელი" იერიში აფრიკაზე" **09.00** დ/ფ "ვისკის საიდუმლო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** დ/ფ "ფანტასტიკური სიმფონია" **11.05** დ/ფ "პროფესორ ომიშენის წარმოუდგენელი მფრინავი მანქანები" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია** " **23.00** "მოამბე" (**3** ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**უცნაური ადამიანების ცირკი და ვამპირის ასისტენტი**"

05.50, 14.40 სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.30** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პაპარაძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** დღის შოუ **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სერ. "**თეთრი დედოფალი**" **3** სერ. **01.30** მხ/ფ "**ბრალდებულები**" **03.45** მხ/ფ "**ზურისძიების ძალა**"

06.00, 19.00, 20.03 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.55** სერ. "**ინდური საბა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** გააცინე და მოიგე

08.00 ან/სერ. "პუკა" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**მშობლები**" **13.00** სერ. "**ბრეის ანატომია**" **15.00** სერ. "**სასტუმრო**" **17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **21.00** სერ. "**გომორა**" **22.30** მხ/ფ "**სიკვდილი დაკრძალვაზე**" **00.30** მხ/ფ "**არტური**" **02.40** მხ/ფ "**თავისუფლების დევნაში**"

06.15 დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმი **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** დ/ფ "მენელსაცხებელი დედები" **11.10** ერთი წვეთი **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა-"ფიკუსი" **15.05** ქართული ან/ფ **15.10** დ/ფ "ათონის წმინდა მთა" **16.40** საქართველოს დაცული ტერიტორიები-"ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი" **17.00** ეპოქა და ადამიანები-"დავით სარაჯიშვილი" **17.35** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**დიმიტრი II**" I **20.40** ძილი ნებისა "ნალის შეჭამანდი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** წმინდანები **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** ღვთის სახლი "გაგრა" **00.30** დ/ფ "რუსთაველის ნაკვალევზე" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

7.00 "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) **8.00, 13.30, 15.30** სერ. "**კარმელიტა ბოუერი ვნება** **10.00** სერ. "**სიყვარულის იმპერია** **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00, 18.50, 20.55** სერ. "**პარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.50** სერ. "**გემი**" **23.10** სერ. "**ესკობარი**" **1.00** "კონტაქტი" **1.30** სერ. "**ქალბატონი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

5 აპრილისთვის

- აშშ დოლარი — 2.4354
- ევრო — 2.5954
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0438
- 100 რუსული რუბლი — 4.3238

ამინდის პროგნოზი 5 აპრილისთვის

29 მარტიდან
საბავშვო ვეფხისტყაოსანი

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

31 მარტიდან
მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

მაგარი ყდა
151 გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი

5 აპრილიდან
მარტორქები ბლინებს არ ჭამენ

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

6 აპრილიდან
საბავშვო ბიბლია

ფასი გაზეთთან ერთად 24 ლარი

იუმორი

სტომატოლოგი პაციენტს ეუბნება:

– სახლში ყოველდღე ვაშლი ჭამე, რომ კბილები გაგიმაგრდეს და ერთი თვის შემდეგ მოდი.

კაცი მივიდა ერთი თვის შემდეგ და ექიმს ეუბნება:

– ექიმო, შენი დარიგება შევასრულე და ყოველდღე ვაშლს ვჭამდი.

– დაჭრილს თუ მთლიანს?

– არც ერთი და არც მეორე, ექიმო, ცოლი მიხეხავდა.

•••

დილით ქმარი მაგარ „პახმელიაზეა“ და ცოლს უნდა ასიამოვნოს და ეკითხება:

– ცივი ბორჯომი მოგიტანო?

– არ მინდა.

– იქნებ ცივი კომპოტი გინდა?

– არა, დედაკაცო, არ მინდა.

– კიტრის მწნილი ხომ არ გესიამოვნება?

– არა, ქალო.

– ხომ არ გავიხადო?

– გაიხადე, შენი დედაც... იქნებ გული ამერიოს.

•••

ბარში მჯდომ გოგონას გვერდით ბიჭმა ჩაუარა და გოგონამ თვალი გააყოლა. ბიჭმა შენიშნა, შემოტრიალდა და ეკითხება:

– ერთი ნახვით შეყვარების გჯერა, თუ კიდევ ერთხელ ჩავიარო?

•••

შვილი მამას ეკითხება:

– მამა, მთვარეს ფეხები აქვს?

– არა, შვილო, რატომ მეკითხები?

– აბა, გუშინ ღამით რატომ თქვი, მიდი, ჩემო მთვარევ, ფეხები გაშალეო?

•••

კაცი პირველად წავა ქალებში, ფულს გადაიხდის და შევა. ქალი ეხვევა, კოცნის, ეალერსება. კაცი გაკვირვებული ეკითხება:

– თუ ასე გიყვარდი, ფული რაღაზე გადამახდევინე?

•••

ბავშვი მამას ეკითხება:

– მამი, რატომ არის მთვარე ვარსკვლავებზე დიდი?

– აბა მე რა ვიცი, შვილო.

– მამა, რატომაა მზე ასეთი კაშკაშა?

– არ ვიცი, შვილო.

– მამი, შეკითხვებით ხომ არ დაგღალე?

– არა, არა, შვილო, მკითხე რაც გინდა, მე თუ არ აგიხსენი, სხვა ვინ აგიხსნის?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

21 მარტიდან
რეი ბრედბერი მარსის ქრონიკა

მაგარი ყდა, 528 გვერდი

ფასი გაზეთთან ერთად 19 ლარი

ესპანურმა რესტორანმა რუსი ქალების მომსახურებაზე უარი თქვა

მადრიდის რუსულენოვანი საზოგადოების ქალების ჯგუფს მომსახურებაზე უარი განუცხადეს რესტორან შაგარდი-ში. ამის თაობაზე ინფორმაცია ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა ღონისძიების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ანასტასია სამოტოროვამ.

მისი თქმით, საზოგადოების წევრები დროდადრო იკრიბებიან ამა თუ იმ მოვლენის აღსანიშნავად და ამჯერად მათ 1 აპრილისთვის რესტორანში 100 ადამიანზე დაჯავშნეს ადგილი. გარკვეული დროის შემდეგ სამოტოროვას დაურეკეს და აცნობეს, რომ ადგილების დაჯავშნა გაუქმებულია.

– არც კი ვიცი, როგორ გადმოვცე დაწესებულების მენეჯერის სიტყვები. მისი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ რუსი წარმოშობის ადამიანები დაწესებულების ფორმატში ვერ ჯდებიან და მათ რესტორანში მისვლას არ მიესალმებიან, – განაცხადა სამოტოროვამ.

მისი თქმით, ცხოვრებაში ასე დამცირებულად თავი არასოდეს უგრძნია და ესპანეთში ცხოვრების ხუთი წლის მანძილზე პირველად შეეჩეხა ასეთ დამოკიდებულებას. მან ასევე აღნიშნა, რომ მომხდარის გამო პოლიციაში განცხადება შეიტანა, ის მიიღეს და საქმე აღძრეს.

გოლფის მოედანი სასამართლომ დააჯარიმა

ამერიკის პენსილვანიის შტატში სასამართლომ 1000 დოლარით დააჯარიმა გოლფის მოედნის მფლობელები, ვინაიდან მისმა სტუმრებმა ძალიან შეაწუხეს ადგილობრივი მცხოვრებლები გადავარდნილი ბურთულებით.

ოჯახმა, რომელიც გოლფის მოედნის მეზობლად ცხოვრობს, სასამართლოში იმის გამო იჩივლა, რომ ხშირად მოთამაშეების დარტყმული ბურთულები მათ ეზოში ვარდება. რამდენიმე წლის განმავლობაში ეს ორმოცდაათზე მეტჯერ მოხდა.

გოლფის მოედნის მფლობელის იურისტებმა ეს ბრალდება უარყვეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ბურთულებს შეუძლებელია მოსარჩელეთა სახლამდე მიეღწია, ვინაიდან ის ხეების უკან მდებარეობს. გარდა ამისა, მათთან ახლოს მდებარე მეცამეტე ორმო, საჩივრების გამო, ორჯერ გადაიტანეს ახალ ადგილზე.

თებერვლის დასაწყისში სასამართლომ დაადგინა, რომ მეცამეტე ორმოსთან უნდა დაეყენებინათ ვიდეოკამერა, რომელიც ბურთულის ფრენის ტრაექტორიას ჩაიწერდა. მარტში გოლფის მოედანი ზამთრის შესვენების შემდეგ გაიხსნა, მაგრამ ვიდეოკამერა არ დაუყენებიათ. სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის გამო, მისი მფლობელები დაჯარიმდნენ.

ქირურგებმა ჩინელს მისივე ხელზე გამოყვანილი ყური გადაუნერგეს

ჩინეთის ქალაქ სიანში ქირურგებმა პაციენტისთვის ყურის გადანერგვის ოპერაცია გააკეთეს, რომელიც მისივე ხელზე იქნა გამოყვანილი.

გავრცელებული ინფორმაციით, მამაკაცმა, გვარად ცზიმ, ყური დაახლოვებით ერთი წლის წინ საავტომობილო ავარიის შედეგად დაკარგა. სიანის უნივერსიტეტთან არსებული საავადმყოფოს ექიმებმა, მას დაკარგული ორგანო მკლავზე აღუდგინეს. ამისთვის მათ ნეკნის ხრტილი და 3დ პრინტერი გამოიყენეს.

ოპერაცია, რომელიც შვიდი საათი გრძელდებოდა, პლასტიკურმა ქირურგმა გო შუჩუნმა თავის კოლეგებთან ერთად 29 მარტს ჩაატარა. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ქირურგიული ჩარევის სირთულისა, მან წარმატებით ჩაიარა, პაციენტის მდგომარეობა სტაბილურია. ვარაუდობენ, რომ აღდგენილი ორგანო სრულად ფუნქციონირებას ორ კვირაში დაიწყებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯვროსნოსანი ↄ



შვეულად: 1. ყოველდღიური ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში; 2. უძველესი აკადემია კახეთში; 3. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 4. მდინარე ზუგდიდში; 6. ქართული ლუდი; 8. შანშიაშვილის დრამატული პიესა; 11. დიდი ფართობის ნოყიერი სახნავი მიწა; 12. ძლიერმომქმედი ნარკოტიკი; 16. შოკოლადის მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 17. მკვრივი და დრეკადი იოგი, რომლითაც კუნთი მიმაგრებულია ძვალზე; 18. მონასტერი სიღნაღის რაიონში.

თარაზულად: 1. სირბილი, ცურვა მოკლე დისტანციაზე; 5. სანოტო ნიშანი ბგერის ნახევარტონით ასამაღლებლად; 7. ძვირფასი სარწაო თევზი; 9. დელფინის ერთ-ერთი სახეობა; 10. ასანთის ძველი ქართული სახელწოდება; 13. შემოწმება მოქმედების სისწორისა და კანონიერების დადგენის მიზნით; 14. დიდი სატრანსპორტო-სამგზავრო გემი; 15. ბრიტანული ტაქსი; 19. უნგრული ჯარის ძველი სახელწოდება; 20. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 21. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად; 22. კინოს ძველი სახელწოდება.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა